წელიწადი პირველი | ფასი 5 კაპ. | ხუთშაბათი, 17 ქრისტეშობისთვე 1915 წ. | № 170

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის აღრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი ტარიფი: პირველ გვერდზე პეტიტ-ფილზე 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., საშგლოვიანორ განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მანეთი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე | 1916 წ.

„საქართველო“

1916 წ. | წელიწადი მეორე

ᲣᲤᲡᲠᲔᲛᲘᲝᲚᲓ ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ღირს 8 მ. 50 კ. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: 1 იანვრამდე 3 მ., 1 მაისამდე 3 მ., 1 ენკენისთვემდე 2 მ. 50 კ., თვიურად—80 კ.

ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲗ გაზეთი წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 10 მან. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: 1 იანვრამდე 5 მან., 1 მაისამდე 3 მან., 1 ენკენისთვემდე 2 მან. ვინც 1 მარტამდე 9 მან. ერთბაშად შემოიტანს, გაზეთს ყველა ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲗ მიიღებს.

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲑᲘ:

1) **სალიტერატურო პრეგული „მერანი“** გამოვა სამ თვეში ერთხელ. ყოველ კრებულში მოთავსებულ იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ორიგინალი ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრების მიერ დასურათებული.

2) **„საქართველოს“ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ „ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲠᲬᲐᲛᲡᲘ“** წიგნაკებად, საქართველოს ეკონომიურს და პოლიტიკურს საკითხებზედ.

3) **საქართველოს ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲠᲣᲥᲐ.**

კერძო მყიდველთათვის თვითეული კრებული ეღირება 1 მან. 30 კ., რუქა—2 მან., საქართველოს ბიბლიოთეკის თვითეული წიგნაკი—50 კაპ.

ფულის გამოგზავნა და ხელის მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში ქ. თბილისი, მოსკოვის ქუჩა, სახლი გაბაშვილისა № 4. ფოსტის ყუთი 76. (Тифлисъ Московская ул. домъ Габаева № 4. почтовый ящикъ № 76.) **და ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზოგადოების ბუხჰალტერთან ვასილ ედილაშვილთან. ᲓᲔᲞᲔᲨᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ—ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“.**

ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲔᲑᲨᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲛᲝᲬᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲦᲚᲔᲑ ᲐᲒᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲐ ᲪᲐᲚᲙᲔ ᲒᲐᲛᲝᲪᲘᲪᲐᲓᲔᲑᲐ.

გაზეთის კანტორა ღიაა დილის 9—3 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლისათვის გაზეთ

თანამედროვე აზრი

გაზეთი ღირს როგორც თბილისში, ისე პროვინციაში მთელი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მ. 50 კ., 3 თვით 2 მ. 50 კ., 1 თვით 90 კ.

გაზეთის ფასი ხელის მომწერლებმა წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიად არავის გაეგზავნება.

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтовый ящикъ № 199 Власію Малакіевичу Бохохадзе.

თბილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „**ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ**“-ში ოლგას ქუჩა, № 6.

მეცხვარეების საყურადღებოდ.

იყიდება მთა-იალაღი და საძოვარი **მიწები თრიალეთში**

ბორჯომისა და სახელმწიფო მამულების შუა (გორის მაზრა), ზომით **800 დესეტინაზე მეტი.** მამული ეკუთვნის თ-დ იასონ დავითის ძე ცაცაშვილს. მამული უვალოა. სყიდვის მსურველმა უნდა მიჰმართოს **ქ. სიღნაღში ნიკ. ივ. ახმეტელაშვილს**

(6—3)

სტუდენტი-ფილოლოგი

პეტროგრადის უნივერსიტეტისა

ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲡ **საშუალო სასწავლებლის ყველა კლასისათვის.** სპეციალად რუსული ენა, რუსული ლიტერატურა, ლათინური ენა და მათემატიკა.

საჩქარო მომზადება პრაპორშჩიკების სკოლისათვის.

პირობის გაგება შეიძლება „საქართველოს“ რედაქციაში.

(15—11)

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲤᲗᲘᲐᲥᲘ

ᲞᲠᲝᲕᲘᲖᲝᲠᲘᲡ ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘᲡᲐ

ᲔᲥᲘᲛᲘ-ᲓᲝᲥᲢᲐᲥᲐᲠᲘ

გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ᲮᲐᲠᲤᲣᲮᲘᲡ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ

ᲛᲐᲛᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝ

ამით აუწყებს ბ-ნთ წევრთ და კანდიდატო, რომ თანახმად წესდების მე-11 მუხლისა, უკანასკნელ ვადათ 1916 წ. **ბილეთების განახლებისა დანიშნულია 20 ქრისტეშობისთვე.**

კანტორა კლუბის გაღებულია ყოველ დღე, დილის 10 საათ. შუადღის 3 საათამდის, საღამოს 8 საათიდგან ღამის 12 საათამდის.

(5—18—1)

ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝ „ᲐᲕᲠᲝᲠᲐ“

ახლად შეკეთებული, გდიდრულად მოართული ნომრები.

ᲣᲐᲦᲠᲔᲡᲘ ᲡᲘᲤᲐᲥᲘᲗ. ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲔᲑᲐ

ქალაქის შუაგულში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად

ნომრები ყველასათვის ხელმისაწდომ ფასებშია.

ᲗᲕᲘᲣᲠ ᲛᲓᲒᲛᲣᲠᲔᲑᲡ ᲤᲐᲡᲓᲐᲙᲚᲔᲑᲘᲗ ᲔᲗᲛᲝᲛᲒᲐᲗ.

ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝᲡᲗᲐᲜ ᲛᲝᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘᲐ ᲡᲐᲛᲖᲐᲠᲔᲣᲚᲝ, ᲕᲐᲜᲔᲑᲘ ᲗᲑᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲪᲘᲕᲘ ᲬᲧᲚᲘᲗ.

თბილისი, მიხეილის ქუჩა № 5. **ტელეფონი** 12—85.

(წ.—14—3)

Ძ. ᲒᲝᲠᲨᲘ

ᲔᲥᲘᲛᲘ ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან.

ᲙᲒᲘᲚᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲘ

ᲜᲘᲜᲝ ᲠᲪᲮᲘᲚᲐᲫᲔ

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

ᲒᲐᲓᲐᲬᲔᲠᲐᲡ ᲡᲐᲬᲔᲠ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲐᲬᲔᲠ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲖᲔ

ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐᲡ

ხელმისაწდომ ფასებში ჰკისრულობს

Ი. Თ. ᲒᲕᲐᲗᲣᲐᲡ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ

ᲕᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲚᲛᲐᲠᲗᲘ № 1

ტელეფონი 17—05

ᲙᲒᲘᲚᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲛᲐ

ᲛᲐᲛᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ

(ᲮᲝᲓᲜᲔᲕᲘᲡᲐᲛ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

ᲔᲥᲘᲛᲘ

მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და **სისხლის** სნეულელებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡᲐ

მოსე ანთიმოსის მე

ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და **ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

ᲛᲝᲛᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲝᲛᲘᲡ ᲓᲔᲙᲐᲠᲗᲔᲑᲘ

16 ქრისტეშობისთვე.

უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისა

ᲞᲔᲢᲠᲝᲒᲠᲐᲓᲘ, დასავლეთის ფრონტი. რიგის რაიონში, ბაბიტის ტბის სამხრეთ რაიონში გერმანელები შეეცადნენ ჩვენი თხრილები აეღოთ, მაგრამ მოგერებული იქმნენ. მიუხედავად ამისა ნაწილი მათი რაზმისა იქვე თხრილების წინ გაწვა. რუსებმა სათანადო ძალები გაჰგზავნეს და უკან გარეკეს ყველანი. დანარჩენ ფრონტზე მდ. პრიპიატამდე ჩვეულებრივი თოფისა და საარტილერიო სროლაა. პრიპიატის სამხრეთ ფრონტზე და გალიციაში თითქმის ყოველგან შეტაკება ხდება, რაიც ადგილადგილ მკაცრ სახეს იღებს.

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲖᲔ. მდგომარეობა უცვლელია.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 14 ქრიტეშობისთვე. დილით 11 ქრისტეშობისთვეს გერმანელებმა დაჰლუპეს ფრანგების გემი „ვილ-დე-სიოტო“. ნაწილი მეზღვაურებისა და მგზავრებისა გადარჩენილია. გემმა „მოროემ“ ყველანი ნაპირზე გადასხა. 208 კაციდან დაიღუპა 80. ასევე დაჰლუპეს ინგლისელთა გემები „იერდო“, რომელიც გლაზგოს ნავთსადგურიდან მიდიოდა. მისი ეკიპაჟი გადაარჩინეს; დაჰლუპეს მესამე გემი, ისევ ინგლისელებისა, „კოტტინგემდ“, რომლიდანაც 7 კაცი გადაარჩინეს და ბელგიელთა გემი „მინისტრი ბეერნაურტი“, რომლის ეკიპაჟიდანაც 7 კაცი გადაარჩინეს.

ᲗᲔᲘᲠᲐᲜᲘ, 15 ქრისტეშ. ახალმა პრემიერ მინისტრმა ფერმან-ფერმამ ახალი კაბინეთი შეადგინა, რომელიც შეჰისგან უკვე დამტკიცებულ იქმნა. პრემიერი იღებს შინაგან საქმეთა მი-

ᲛᲝᲙᲚᲔ ᲮᲐᲜᲨᲘ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲛᲒᲐ

კიკნა-ფშაველის

პოემებისა და რჩეულ ლექსების კრებული, რომელსაც წინ დაერთვის ავტორის სუთათი, მოკლე ბიოგრაფია-წინასიტყვაობა **დ. კასრაძის** კრიტიკული წერილი.

წიგნი ეღირება ᲐᲗᲘ ᲨᲐᲣᲠᲐᲓ

ხელის მოწერა შეიძლება „თეატრის და ცხოვრების“ რედაქციაში და **მიხ. ხერხეულიძესთან:** თბილისი, პარკოვსკის ქ. № 27.

(4—0—2)

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲔᲚᲘ | **ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲔᲚᲘ**

„**საქართველო**“-ს **რედაქციის თაოსნობით 1916 წლიდან** სამთვეში ერთხელ გამოვა

კაზეული და სამხატვრო კრებული

„ᲛᲔᲠᲐᲜᲘ“

ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲚᲘᲣᲠ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲔᲠᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲦᲘᲠᲡ 4 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 1 მარტამდე 2 მანეთი, 1 თებათვემდე 2 მანეთი, ცალკე ნომერი ეღირება 1 მ. 30 კ. კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრებისგან დასურათებული. შემოდგომის კრებული საგანგებოდ მიეძღვნება ჩვენი დიდებულის მგოსნის ნ. ბარათაშვილის ძვირფას ხსოვნას მის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად.

ხელის მოწერა მიიღება „საქართველოს“ რედაქციის კანტორაში, თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“-Ს ᲤᲚᲘᲣᲠ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲔᲠᲗ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ „Მ Ე Რ Ა Ნ Ი“ ᲣᲤᲐᲡᲝᲓ ᲓᲐᲣᲠᲘᲒᲔᲑᲔᲑᲐᲗ.

ნისტრის პორტფელს, სეპეხდარი იღებს სპარსთა ჯარების უფროსის ტიტულს, იგი მთლად დაემორჩილება რუსეთის განკარგულებას, მაშინ როდესაც დღემდე შეიარაღებული ძალები მთელი ამ ქვეყნისა სხვა და სხვა უწყებათ ემორჩილებოდა. შემდეგ კაბინეთის შემადგენლობაში შედიან: ბოშაევერ-გემალექ—გარეშე საქმეთა მინისტრი, ალაუს-სალთანე—იუსტიციის მინისტრი, სერდარ მანსური—ფოსტა-ტელეგრაფისა. მახმუდ-დოულე—სახალხო განათლებისა, პრინცი აქბერ-მირზა—საზოგადო მუშაობისა. ფინანსთა მინისტრის პოსტი ჯერ კიდევ ცარიელია. მთელი კაბინეთი რუსეთის „მომხრეთა მინისტრებისგანაა შემდგარი.

ბახმუტი, 14 ქრისეშ. ცეცხლმა გადასწვა კუზინის მარილის მაღარო. ზარალი 1 მილიონი მანეთისაა.

თეირანი, 14 ქრისტეშ. ხმებია, რუსებმა ქაშანი აიკლესო. სპარსეთის მთავრობამ ცნობა მიიღო, რომ ყუმის კომიტეტის მეთაურნი ისპაჰანიდან სადღაც გაჰქრენო.

პარიზი. დღის ოფიციალი ცნობა. ვოგოზებში მძაფრი არტილერიის ბრძოლა სწარმოებს. აღმოსავლეთის კლდეზე გერმანელნი შეეცადნენ წინ წამოსულიყვნენ, მაგრამ ფრანგებმა იგინი უკუ აქცია. დანარჩენ ბრძოლის ასპარეზზე საყურადღებო არაფერი მომხდარა.

პეტროგრადი, 15 ქრისტეშობისთვე. შინაგან საქმეთა სამინისტრომ გუბერნატორებს და გამოქცეულთა ბიუროების მთავარ რწმუნებულებს წინადადება მისცა, რამე იღონონ და გამოქცეულებს სამუშაო მისცენ მრეწველობისა და სახელოსნო დაწესებულებაში.

მინისტრთა საბჭომ სესხი ჯარში გაწვეულთა ოჯახების დასახმარებლად 1916 წლის 1 მარტამდე 185 მილიონი მანეთი. ამ მიზნითვე 1915 წლის 1 ქრისტეშობისთვემდე გაცემული იყო 649,325,000 მანეთი

სოლუნი. ბრძოლის ველზე სიწყნარეა. ყოველდღე მოდის გერმანეთიდან სამხედრო მასალით დატვირთული ვაგონები თრაქიასა, სოფიასა და ოსმალეთში.

პინსკი. გერმანელებმა მეტად გაამაგრეს პინსკი.

პეკინი. 15 ქრისტეშობისთვეს იუნანის პროვინციამ პროტესტი განაცხადა მონარქიულ მართვა-გამგეობის შემოღებისთვის, და თავის თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა, იუნანის წინააღმდეგ ჯარი გაჰგზავნეს.

სტოკჰოლმი. გეტებორგიდან იუწყებიან. აღმოსავლეთ-აზიის ამხანაგობის გემი „ცეილონი“ გერმანელებს დაუღუპავთ ჩრდილოეთის ზღვაში.

სევასტოპოლი. რუსების გემმა ბულგარეთ-ანატოლიის სანაპიროებთან 4 სურსათით დატვირთული გემი დაჰღუპა, გემების შემადგენლობის ნაწილი ტყვედ წამოიყვანეს.

ლონდონი. 15 ქრისტეშობისთვე. ბრიტანეთის მთავარი ჯართ სადგომი იუწყება: დილით მტერმა ჰოჰენცონლერნების რედუტის პირდაპირ ნაღმი ააფეთქეს. ინგლისელები საჩქაროდ მოთხრილ სანგრებში გამაგრდნენ. გერმანეთის არტილერიას ინგლისელთათვის საგრძნობი ზარალი მიუყენებია.

სხვა ადგილებში ჩვეულებრივი საარტილერიო ბრძოლაა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

სპარსეთი.

თეირანში

მთელი თეირანი ფეხზე სდგას, ხალხი დრტვინავს. შორიდან სროლის ხმი ისმის.

ბრძოლა საბათ-ქერიმში

თეირანში ამბავი მოვიდა, რაბათ-ქერიმში რუსის ჯარი ჟანდარმერიას და ემირ-ქიშმეთის ჯარს ებრძვისო. რუსის ჯარი სავეს სამხრეთიდან და ენგი-იმამოს ჩრდილოეთის მხრიდან იძვრის.

სარდარ-მოღადური

თეირანში იმყოფება ბახტიარების ბელადი სერდა-მოღადური, რაბათ-ქერიმში ბრძოლის დაწყების წინ, იგი ტელეფონით დაელაპარაკა ემირ-ქიშმეთს; საუბრის შინაარსი არ იციან. ამის გამო ვერ გამოურკვევიათ, რა მოხდება თეირანში. თუ დამარცხებული ბახტიარები შემოვლენ.

თეირანს უახლოვდებიან

თეირანში ისე ისმის სროლის ხმა, რომ ეტყობა მებრძოლნი თანდათან თეირანს უახლოვდებიან. ქალაქ შაჰ-აბდულ-აზიმში გამოქცეული სპარსელები მისულან. ტელეფონის მავთული გაწყვეტილია.

დაჭრილის ნაამბობი.

შაშ-აბდულ-აზიმთან ბრძოლის დროს დაჭრილი ჟანდარმი თეირანში მთის ბილიკებით მისულა და უამბნია ბრძოლის ამბავი: მეამბოხე 1300 კაცი იყო, ამათში 800 ცხენოსანი და 500 ჟანდარმი. მათ ჰბელადობდა ემირ ქიშმეტი, ალი-ხან სიახკუხისა და მუნტასირ-ად-დოულე. ნაშუადღევის 2 საათზე სპარსელთა ჯარს თავი მოუყარეს, აღგზნებული სიტყვებით გაამხნევეს, რუსები კასპიის ზღვის ნაპირამდე უნდა გადავრეკოთო. ბრძოლა დაიწყო და ყველაფერი აირია.

ბალკანეთში.

მორატის აზრი.

„ბერლ. ტაგებლატ“-ში მორატი სწერს: მთაშავეთის მთაგორიან ადგილებში, სადაც ეხლა ბრძოლა სწარმოებს, ძალიან ძნელია სწრაფი მოქმედება, რადგანაც დიდი ჯარის ამოძრავება ყოვლად შეუძლებელია. სერბიელ-მთაშაველთა ჯარი სდგას მოიკოვეც-ბერანე-პლავას ხაზზე, რომელიც მთაშავეთის უმთავრეს სტრატეგიულ გზებს სდარაჯობსო. ავსტრია-უნგრელების სამოქმედო ხაზი არის იპეკროჟან-ბელოპოლიე.

მორატი ეხება აგრეთვე ბულგარელების მოქმედებას ალბანეთში: ალბანეთის შუაგულისაკენ ბულგარელებმა წინსვლა შეაჩერეს ალბანეთის სანაპიროებზე იტალიელებმა ჯარი გადასხეს. სალონიკში გერმანელ-ბულგარელებმა ვერ მოახერხეს ინგლის-ფრანგების ჯარის განადგურება. თუმცა მეტად გაჭირვებულ სტრატეგიულ პირობებში ჩაცვივდნენ, მაგრამ მაინც მოახერხეს საბერძნეთის მიწა-წყალზე შეხიზვნა. მორატის აზრით, აუცილებელია სალონიკზე იერიშის მიტანა. მისი აღება აუცილებელია, რადგანაც სალონიკიდან მოკავშირეებს მუდამ შეუძლიანთ გადავიდნენ მაკედონიაში, ბულგარეთში და ოსმალეთის თრაქიაში.

სერბეთის ბედი.

„ფოსიშე ცაიტუნგ“-ში ჰენრიხ ფრიდიუნგი სწერს: მაკედონია და აღმოსავლეთი სერბეთი (ნიშითა და პეროტით) ბულგარეთს ერგება. მონასტირის ბედი გადაუწყვეტელად რჩება, რადგანაც საბერძნეთი ჩემულობს მას. ავსტრია-უნგრეთს ერთხელ და სამუდამოდ უნდა თავისუფალი გზა ჰქონდეს მდ. დუნაიზე. ამის გამო ბელგრადი აუცილებლად უნდა შეინარჩუნოს.

უცნაური ცნობა.

„რუს. ვედ.“-ის სიტყვით ბუდაპეშტიდან გერმანულ გაზეთებს შემდეგი უცნაური დეპეშა მიუღიათ: „მინისტრ-პრეზიდენტ გრაფ ტისსასთან რუსეთის თურქ-თათრების წარმომადგენლები მივიდნენ და წერილობითი მოხსენება გადასცეს. მოხსენებაში ნათქვამია: რუსეთში 20 მილიონამდე მუსულმანობაა, 7 მილიონი ჩრდილოეთის თურქები და 6 მილიონი ყირგიზები. რუსეთი ამ ეროვნებას სდევნის, ავიწროებს და მათ უძველეს კულტურას უნადგურებს. ამ ერთა ასაღორძინებლად საჭიროა რომ დაარსდეს ყაზანის სახანო და ვოლგისა და კასპიის ზღვის შუა ნეიტრალი ოლქი დაარსდეს. დეპუტაციამ ითხოვა, სამშვიდობო მოლაპარაკების დროს ჩვენი განცხადება მხედველობაში იქონიეთო“.

ამ ცნობას განმარტება არ ესაჭიროება.

უკანასკნელი ფოსტა

სანოვაგე გერმანეთისათვის.

გრაფმა ტისამ ნება დართო, რომ გერმანეთში გაიგზავნოს 10 ათასი ღორი და 15 ათასი საკლავი საქონელი.

გრაფი ცეპელინი.

დირიჟაბლების მომგოი გრაფი ცეპელინი ვირტემბურგის დეპუტატად აირჩიეს.

რიგის გარშემო.

„რუსკ. ინვალიდ“-ი სწერს: გერმანელები რიგის მიდამოებში მოქმედებას აძლიერებენ. ამბობენ, აქ გერმანელებს გადმოუყვანიათ ახალი, ხელუხლებელი ჯარი. მოუტანიათ ახალი ზარბაზნები და სულ ახალ ადგილებზე სდგამენ, გერმანელი ტყვეები ამტკიცებენ, საახალწლოდ უსათუოდ აიღებენ რიგასაო.

„ბირჟ. ვედ.“ სიტყვით, რიგას გერმანელი ჰაეროპლანები და ცეპელინები ყუმბარებს უშენენ. გაზეთის აზრით მათ მხოლოდ რიგის დაზვერვა ჰსურთ. ყინვები ამ საქმეში ხელს უშლის მფრინავებს.

იურიევის დაცლა.

„რეჩ“-ის სიტყვით, იურევის დაცლა განუზრახავთ. გაზეთის აზრით, იურევს ჯერ საფრთხე არ მოელის, რადგანაც რიგისა და დვინსკის მიდამოებში ჯერ მტკიცედ უმკლავდებიან მოპირდაპირეს.

სათათბიროს გარშემო.

დეპუტატთა უმრავლესობის აზრით, სახელმწიფო სათათბიროსა და საბჭოს 7 იანვარზე ადრე არ მოიწვევენო. მთავრობის წრეები ამ მოსაზრებას თანაგრძნობით ეკიდებიანო.

რუშჩუკის გამაგრება.

გერმანელები რუშჩუკში მაგრდებიან. მდ. დუნაიზე გაუმართავთ თორმეტ დუომიანი მძიმე ზარბაზნები. რუშჩუკის მეციხოვნეთა ჯარი გერმანელებისაგან შესდგება.

ბრძოლის ველზე

რუსეთის ასპარეზზე, როგორც ჩრდილოეთით ისე სამხრეთით, ბრძოლა თანდათან ცხოველდება. აქნამდის თუ ამ მიდამოებში, ნამეტნავად დვინსკისა და რიგის მიდამოებში, სერიოზული შემოტევა ბუნებრივი მიზეზების გამო, თითქმის შეუძლებელი იყო. დღეს ყინვების გამო უფრო სხვა პირობები შეიქნა და აქ შესაძლებელია ძლიერი შეტაკებებიც მოხდეს.

აქნამდის ისედაც ჭაობიან, ტბებით სავსე რიგის მიდამოებში ამინდებიც ხელს უწყობდა სინოტივეს და დიდი მოძრაობა შეუძლებელი იყო. გერმანელებს მძიმე ზარბაზნების მოტანა და დადგმაც უძნელდებოდათ, მაგრამ ეხლა, როცა ნიადაგი გაყინულია, მდინარე და ტბები ისეთივე თავისუფალი სასიარულოა, როგორც გაყინული დედამიწა, ადვილი შესაძლებელია ძლიერი ომიც გაჩაღდეს. წინეთაც ვამბობდით და ეხლა რუსეთის პრესაც ადასტურებს, რომ გერმანელებს ჯარი თავისუფალი ჰყავთ. ბალკანეთში და დარდანელში მათ თავიანთი ჯარები არ დაუბანდებიათ, რადგან ადგილობრივი მათი მოკავშირეთა ჯარებიც უმკლავდებიან. ასე რომ რუსეთის მხრით შეუძლიან გერმანეთს გააჩაღოს ბრძოლა.

სამხრეთით მდ. პრიპიატზე და გალიციაშიც რუსებსა და ავსტრიელ-გერმანეთის ჯარს ცხარე ბრძოლები ჰქონიათ, მაგრამ რა შედეგები მოჰყვა ამ შეტაკებებს ჯერ არას იწერებიან.

სპარსეთიდან გარკვეული ცნობები ომის შესახებ არა ისმის რა, მხოლოდ ახალი სამინისტრო შემდგარა, რომელსაც სათავეში რუსეთ-ინგლისის მომხრე მინისტრები მოჰყოლიან.

სამხრეთ სპარსეთიდან ინგლისის ოფიციალი ცნობებით, მაინც და მაინც დიდი სანუგეშო ცნობები არ არის. ინგლისის ცნობით ოსმალებს ახალი სტილით შობა დღეს დილით და იმის წინა დღით გამაგრებულ ციხე კუტზე საშინელი იერიშები მოუტანიათ. ერთი მხრით ციხის რკალი შეუნგრევიათ და შიგ ციხეში შეჭრილან. ინგლისელებს მაშველი ჯარი მოსვლიათ. ოსმალებს ციხიდან უკანვე გამოუყვანიათ თავიანთი ჯარები. ეს ჯარები ასი ნაბიჯის სიშორეზე და შემდეგ 400—900 ნაბიჯზე გამოუბრუნებიათ ციხის შენგრეული კედლის პირიდგან.

ერთის სიტყვით სჩანს, რომ აქ ინგლისელებს ძლიერ უჭირთ და თუ მალე არ მიაშველეს ჯარები მთელს ამ საექსპედიციო ჯარს ხიფათი ელის.

ბალკანეთიდან ცნობები არა არის რა. დასავლეთის ფრონტზე ცხარე შეტაკებებია, მაგრამ დიდი შედეგების მოლოდინი აქეთ თითქმის შეუძლებელია.

გ. გ.

თბილისი, 17 ქრისტეშობისთვე.

ბევრს ვლაპარაკობთ **პოლიტიკური დეზინფექცია** და ნაკლებს ვაკეთებთ. ვუკიჟინებთ ერთმანეთს, ერის სახელით ნუ ლაპარაკობთ, ამისი უფლება არ გაქვთო და იმავე დროს, იმავე ერის სახელით თვით ჩვენ გამოვდივართ; მის რწმუნებულ რაინდებათ მოგვაქვს თავი; ჩვენს ნებაზე ვარიგებთ სამშობლოს სხეულის ნაწილებს, მის სულსა და ხორცს, იდეალებს ვისახავთ ოცნების სამთავროისას და საკუთარს სამშობლოზე რომ მიდგება საქმე, უკან ვიხევთ, ფოლადის ფაფარი შორეულისთვის იალქნის აფრად გადაშლილი ძირს გვეკეცება, ვტირით ვვალალებთ: რაც იყო, ის **აღარ არის**, რაც არის, **ის ვიკმაროთო**! მაქსიმუმი შორეულისადმი და მინუმუმი მახლობელის შესახებ! სულიერს დაკმაყოფილებას ვგრძნობთ, როდესაც ფინჯან ყავას გამვლელ და გამომვლელს შევთავაზებთ და მზათ ვართ მათს გამოცლილ ფინჯნის ძირი ავლოკოთ, ცოტაოდენი გემო მაინც, რომ გავიგონეთ სუნნელი ყავის! ყოველისფერი სხვისთვის და არაფერი ჩვენთვის!

ერეკლეულ ბიბლიოთეკა

ნო.

მდაბალი გაჰხადა ჩვენი პრესა, სულმდაბალი და კეკე-მალულა მაშინ, როდესაც იერიში იერიშზე მოაქვთ, ჩვენს მიწა-წყლის საკუთრებაში ისტორიულ საბუთების ჩხრეკას შეუდგნენ.

ვვეკარგება მთელი სამი მაზრა და ჩვენც ამაზე აუთრთოლებრივ ხელს ვაწერთ, სტატისტიკურ ცნობებით ვამართლებთ მეტოქეთ, რომ ისინი მართლები არიან, რომ ჩვენ ამ მაზრებზე ხელი არ მიგვიწვდება! ჩვენ იმას როდი ვკითხულობთ, თუ **რატომ** არ მიგვიწვდება ხელი, თუ **რატომ** შეიქმნა კომპაქტური მასა მოწინააღმდეგისა, არა ჩვენ რეალ ციფრებთან გვაქვს საქმე და ეს საკმარისია, რომ ჩვენს ტერიტორიის დახურდავება-დაკარგვაზე აუთრთოლებრივ ხელი მოვაწეროთ!

პოლიტიკურმა სიბეცემ დაგვავიწყა ისტორიული საბუთები, დაგვავიწყდა, ერის ზრდის კანონები. ისე მოსჩანს, თითქოს ჩვენ წინასწარვე ხელი ავიღეთ საქართველოს მომავალზე, თითქოს არა გვრწმადეს მისი ზრდა, მისი განვითარება! ინგლისელები ოდესღაც ორ მილიონ ხალხს არ წარმოადგენენ და ეხლა პირველხარისხოვან სახელმწიფოდ ითვლება. ჩვენ არ ვოცნებობთ ასეთ გაზრდაზე, მაგრამ ის კი აუცილებლივ გვწამს, რომ იმდენად გავიზრდებით, რომ ქვეყანა **ერთ კაცად** მაინც გვიწამებს! ამისათვის ჩვენს ერს სჭირია გასაქანი. საით წავიდეთ? ჩრდილოეთით კავკასიონის ქედიდან აღარ გაგვიშვებენ და სამხრელებმაც აგერ აჰა, ასეთი იერიშები მოიტანეს! დღეს ჩვენ არ ვიცით, მიზეზი ასეთის იერიშებისა, მაგრამ შორს აღარ არის დრო, როდესაც ყოველისფერს ფარდა აეხდება.

ჩეენ გულუბრყვილოდ ვენდობით ოფიციალ სტატისტიკურს ცნობებს. გავა დრო და, შორს აღარ არის ეს დროც, რომ **რეალი** მოსახლეობა ამ უცხო ელემენტებისა გაზრდილი იქნება ჩვენს მამულზე სულ ნაკლები 50 პროც. რა ვქნათ, ავიღოთ მაშინაც ხელი ჩვენს უფლებებზე? შევურიგდეთ ამ „საშინელ აჩრდილს“, როგორც ზოგიერთა მგოდებელი საქართველოს უქნარი მესაფლავე გაჭკივის გაზეთის ფურცლებზე, როგორც მთელი ერის მიერ არჩეული მებუკე?

არა ვთქვათ რა? არა ვაკეთოთ რა? მართლა შევურიგდეთ იმ აზრს, რომ მათს დემოკრატიისა და ჩვენსას შუა არავითარი განსხვავება არ არსებობს?

მძიმეა დღევანდელი შექმნილი ატმოსფერა, მძიმე და სამწუხარო ქართვე-

ამგავი ჯავახეთისა

შარშანდელი ქრისტეშობისთვე, არტაანის ჯოჯოხეთი. აფნია და გოგაშენი. გავიქცეთ თუ გავიხიზნეთ. ტეფო ბიძა. სოლომონ ბრძენი და ჭიანჭველა. ლეგენდა და ტირიფონე.

(ნაამბობი ჯავახელისა).

I

„ახა ღმერთო! ე რა დღეს მოვესწარით თქვენი ჭირიმეთ... ე რა შიშიანობა ჩამოვარდა... ხალხი ამ ყინვიან ზამთარში არტაანიდან დაფეთებული გამორბის მუხლამდე თოვლში.—ხმა გავარდა—ოსმალოს არტაანი აუღია კიდეცაო და რუსის ჯარს დაუხევია, **აბოზი ზურზუნას***) ჩამოსულაო**).

ჩვენს სოფლებს აფნიას ჭ გომაშენს***) მთელი ღამეა თვალი არ მოუხუჭია.—დიდი და პატარა ზეზეა, რას ამბობ ჯანუმ. ძილი რომელია. „აღდგომა და ხვალეო“, მართალია და რაღა დიდი მანძილი დარჩა—კარგის ცხენით აქედან ზურზუნამდე ორ საათზე ავალ, არც კი მოუნდები.—აქ თუ ღვთის რისხვა არ არის მაშ ასეთი **შობა** რად გვითენდება!?..

ხალხი ზღვასავით ღელავს, შფოთავს.

აი! ღმერთმა უშველოს მღვდელმა ცისკრის ზარი დარეკა, არას დროს მგონი ხალხის გულს ასე არ ჩასწვდენია ეს ზარის ხმა. როგორც ამ განთიადისას. რაღაც იმედმა გაგვამხნევა, შიშის ზარმაც თითქო გაიარაო. აგერ ყველანი ეშურებიან საყდრისკენ. ვინ იცის ძმაო, იქნება უკანასკნელად დავიწერთ პირჯვარს, ბაბუა კიდე ატეხილა: უზიარებელს ნუ მოაკვლევინებთ ჩემს თავსო. ღმერთს სულ სიკვდილს ეხვეწება—სად უნდა მათრიოთ ბარემ აქვე ჩამმარხეთ, რომ ჩემი ხორცი ძაღლებს არ გადაუყარონო, ზოგს კიდე ოსმალოს ჯარისა ისე ეშინოდა, როგორც ჩვენი მეზობელ თარაქამა სოფლებისა **აზმანაო, ერინჯაო** და სხ. **ჩუნქი** მაჰმადის წმიდა ომია გამოცხადებული და ადგილობრივი თათრებრ, ვინ იცის, შეიძლება მოლებმა გააბრიყვონ.

დედაკაცობა მაინც უფრო დაშინდა;—აგერ უყურეთ ამ სიცივეში ყველანი როგორ გარბიან საყდრისკენ, ლოცვა ლოცვაა, მაგრამ სჯა-ბაასი უფრო მეტი იქნება. ბერიკაცებსაც ალბად **მუშავარა** *) ექნებოდათ და ვნახოთ რას ჰო და, ნუ შეგეშინდება: ახალქალაქიდან ძია ბესომ ამბავი ამოიტანა—სულ რაც ნაჩალნიკობა არიანო, ჩინოვნიკობაო, სუყველა ცოლშვილს ისტუმრებს პარა პარაათაო. ბრძანება გამოსულა მთავარმართებლისა: ამ წამსვე გამოგზავნეთ ცოლშვილი რუსეთისკენაო. ფულებიც მთავრობიდან გამოსულა, პრაგონი და ულუფა, ერთმა ჩინოვნიკმაც ბევრი იოხუნჯა: რაო, რაო? 10—15 წელიწადია ცოლს ვასუქებ და ახლა როგორ არა, მომიცლია—არა, ჯანუმ, (ძმანო) მე სარუსეთო ცოლი არა მყავსო.

საყდარზე ყრილობაა, ხალხი ზღვასავით ღელავს, ხმაურობს, ყვირიან: ავიყარნეთ ავიყარნეთ„ გავიქცეთო. ცისკარი რო გამოვიდა ყველანი მღვდელს შემოვერტყით ღობესავით.

— ღმერთი დიდია, მოწყალეა. ე მაგრე გული რამ გაგიტეხათ, ქრისტიანი ხალხი ვართ და მეფესაც ღმერთმა გაუმარჯოს, ქრისტიანი გვყავს—ბრძანა მღვდელმა.

— გაუმარჯოს რუს ხელმწიფის ხმალს! დაიძახა ძია ბესომ და ხალხმაც ურა დასძახა.—მღვდელი რო შინ წავიდა ხალხი ისევ აყაყანდა. ყველაზე მეტს კი ფიდო ყვიროდა, რომელიც წუხელ **ყარზახიდან** მოსულიყო.

— ბიჭებო და, რაც მე წუხელ საცოდაობა ვნახე ღმერთმა ნურავის გაჩვენოთ. უნდა თქვენი თვალით გენახათ, აბა მაშინ მიხვდებოდით რაც ნამდვილად ამბავია და რასაც უნდა ჩვენც ველოდდეთ.—არტაანს ვინ-ღა სჩივის, ხალხნო! მთელი სოფლები ვინც კი ქრისტიანია: ბერძენი, სომეხი, რუსი-მალაკანი, აისორი სუყველა გამორბის!—დედავ, დედავ! რა საცოდაობაა რა ღვთის რისხვა! თავზარ დაცემული გამორბის ვისაც როგორ მოუსწრია. ამბობენ არტაანიც მართლა და წუხელ აიღესო. საღამოთი ყველანი **მეამითნი** *) იყვნენ, დაუძინიათ და შუაღამისხანს კი დაუძახიათ: არიქა ვისაც შეგიძლიათ, თავს უშველეთო თათარი მოდისო, ხალხი არეულა: დედა შვილს ეძებს, ცოლი ქმარს, ზოგს დედასაც მუხლამდე თოვლში რო ვეღარ უვლია ძუძუზე ბავშვი გაჰყინია, ერთს დედასაც თურმე მუხლი რო მოეკვეთა, თოვლზე დასხა ორ-ორი შვილი და თითონ კი ძუძუთა ჩაჰბღუჯა და მორბის... ის ორი ბავშვი კი გულ შესაზარად გაჰკივიან, მოსტირიან: დედავ ნუ მოგვკლავ, ჩვენც წაგვიყვანეო. ერთის სიტყვით ძმავ ცეცხლი, გენია ტრიალებს, ნუღა მათქმევინებთ რაც მე თვალით ვნახე და ე, ღმერთმა კი დაგვიფაროს და ჩვენც განა ეს დღე არ დაგვადგება?—თავს უშველოთ თავს“.

დედაკაცობა ატირდა, ქვითინი მოჰყვა, ხალხი ღელავს: ავიყარნეთ, ავიყარნეთო,, ძია ბესო კი მაინც გულს არ იტეხავს ხალხს შესძახა:

— ხალხნო და ჯამაათნო! ე რო ატეხილხართ ავიყარნეთ, გავიქცეთო, მერე და სად აპირებთ გაქცევას... საითკენ!

ხალხმა აღარც კი დააცადა სიტყვის გათავება ზოგი ყვირის რუსეთს წავიდეთო, ზოგი იძახის იმერეთსაო, ზოგი ქართლსაო, ერთმაც დაიძახა გავიხიზნეთ, გავიხიზნეთო...

ძია ბესო მაინც თავის სიტყვაზე მაგრად იდგა—საფლავის ქვაზე შესდგა და ხალხს დაუყვირა:

— მაიცათ ხალხო! სმენა იყოს და გაგონება, ძველად ჩვენს მამაპაპას რომ არ გეეძლო ამ ალაგას, ეხლა ეს სოფელი აქ-ღა იდგებოდა, ქართველის ხსენება აქაურობაში განა კიდევ იქნებოდა, მერე და იმათ უფრო ჩვენზედ დიდი ცეცხლი და ტანჯვა-წვალება არ გამოიარეს!?

ან თუ არა და თუ ყველა არ მოსწრებივართ ე გაგონილი მაინც ხო გვაქვს რამდენი ომი გადაგვხედია. ამ რუსებსაც, ჯერ იყო და პასკევიჩიო*)—ეს ადგილები აქაურობა რო დაიჭირა, მერე ბებუთოვის დროს პახოტობა**) მერე ხო ლორის-მელიქოვი (1877—78) ყველას გვახსოვს. ამ უკანასკნელი ომის დროს, ამ 35 წლის წინეთ ჩვენი სოფლიდან ოსმალოს მიჯნამდე სულ ხუთი ვერსი არ იყო—არ გახსოვთ განა ყარზახის ტბასთან არ იდგა ყაზახი და საბაჟო, ჰო და გიშველათ ღმერთმა, აბა მითხარით, ბიჭოს და რატომ მაშინ არავის ფიქრადათ არ მოგვსვლია, ეხლა რომ დაგიჟინიათ ავიყარნეთო, გავიქცეთო, მაშინ უფრო მტრის საზღვარზე არ ვიდექით!?..

ხალხი მაინც თავისას გაიძახოდა... ერთმაც, ახალმა მოსულმა ბესოს ჩხუბი აუტეხა:

ე, შენც ერთი, რას ამბობ,—მოგიცლიაო... ეს ოხერი და ტიალი ე ფოსტის გზა ხო აქვეა. აბა, გადადით და ნახეთ რა თავ-გადაგლეჯილი გამორბის დიდი და პატარა—ვინ ტიტველა, ვინ ფეხშიშველა. ერთი სომეხიც სულდაში ლაპარაკობდა: ვიღაც ვაჭრის ცოლს მოუგროვებია მთელი თავის სიმდიდრე ოქრო და თვალ-მარგალიტი დაუწყვია სკივრზე—რა არი ეს მაინც მოვასწროო... მერე კი რო დაუწყვია ხალხს ღრიალი, ტირილი, ყვირილი: არიქათ თავს უშველოთო! ამ ვაჭრის ცოლს ჩაუვლია ხელი და ფეხშიშველა გამოქცეულა, თურმე სამშვიდობოზე რო გამოვიდა, გონს რო მოვიდა, გულ-დაჯერებულს დაუხედნია და ხელში კი თურმე ძვირფას სამკაულების მაგივრად მაგრად უჭირავს... **სამოვრის ტრუბა**... აი აქ კი მეორედ შეულონდა გული იმდენ ოქრო-ვერცხლის, თვალ-მარგალიტის დამკარგავსა,—ეჰ რას ამბობთ, ბიჭებო, რომელი ერთი საცოდაობა გითხრათ. ერთს ბეჩავ დედასაც... თურმე იქამდე შეშლილა საცოდავი, რომ ბავშვის მაგივრად გულში მუთაქა ჩაუკრავს, ჩაუხუტია... შიშის ზარმა რა გაიარა მაშინ დაჰხედა, მაშინ მიხვდა რა ჯოჯოხეთიც ტრიალებდა მის თავს და სიმწვავისაგან თურმე სიცილი ასტეხა,—შეიშალა. კიდევ ღმერთმა უშველოთ დუხაბორებს: ორმოცი მარხილი მეტი მიაშველეს ახალქალაქიდან და ამათ გადაარჩინეს ხალხიც და სიზანიც. მეორე-მესამე დღეს რამდენი გაყინული ბავშვი ეყარა გზაზე ესენიც დუხაბორებმა აკრიფეს—ადამიანის შვილია, დამარხვა უნდაო.

ამ ახალმა მთხრობელმა უფრო გადარია ხალხი—დაღონდა ყველა, აღარ იცის რა ქვასა ჰკრას თავი... ცეცხლია სწორეთ და ეს არის!..

სწორედ ამ დროს გაისმა სამხიარულო ხმა:—არიქა ბიჭებო! ძია ტეფო მოდის, ძია ტეფოო,—თითქოს ძია ტეფო მთელს კორპუს ჯარს წინ მოუძღვისო, ისეთი იმედით შესცქეროდენ ძია ტეფოს. ხალხი მართლაც და დამშვიდდა, დალაგდა, რამდენიმე ახალგაზრდაც წინ მიეგება და მხარში შეუჯდა. ყველამ ხმამაღლა სალამი მისცა ძია ტეფოს:

— აცალეთ, აცალეთ ბიჭებო ვნახოთ, ძია ტეფო რაღას იტყვის...

ილ. ალხაზიშვილი.

(დასასრული იქნება)

*) ზურზუნა დაბაა ჩილდირის საერისთაოში არტაანის ოლქში. ახალქალაქიდან 50 ვერსია.

**) შარშან ამ დროს 16—17 ქრისტეშობისთვეს

***) აფნია და გომაშენი ჯავახეთის სოფლებია ქართველ ქრისტიანებით დასახლებული. ერთმანეთის ახლო არიან და უახლოესი ქართველი სოფლები არტაანის ოლქის საზღვარზე.

*) თათბირი, ბჭობა. გადასწყვეტენ—ჩვენც გავიქცეთ თუ არა,—

*) გულ დაჯერებული იყვნენ.

*) პასკევიჩი.

**) ბებუთოვი.

ლი ერისთვის. მრავალ საზრუნავით დარახტული ამ კითხვებს ვეღარ არ-თმევს თავს. ყოველისფერი აირია. ერთგვარმა დემაგოგობამ იჩინა თავი. ყველა დამრიგებელია და გამგონი კი არავინ. მსჯელობა და აწონ-დაწონვა, ერთად ყოფნა ჭირსა და ლხინში საძნელო საქმედ გადაიქცა. დიდი და დიდი პოლიტიკური დეზინფექციაა საჭირო იმ მარტივ და უბრალო ჭეშმარიტების დასანახავად, თუ რა ძალას ვკარგავთ ამ პოლიტიკურუს დაქსაქსულობით და ერთმანეთისადმი უნდობლობით; დიდი პოლიტიკური დეზიფენქცია გვეჭირვება შევიძინოთ, რომ დავუკვირდეთ ვითარებას თუ სად მივყევართ ჩვენს დარდიმანდულს და ტკბილ იდილიურს სჯა-ბაასსა! დიდი დეზიფენქციაა საჭირო სიბეცის ბურუსის გასაფანტად, რათა შემწეობით ვებრძოლოთ ასე ანორმალურად შექმნილს დღევანდელს სტატუს ქვოს,

დასასრულს, დიდი დეზიფენქციაა საჭირო, რომ შევიგნოთ ჩვენ ისტორიულ უფლებათა ღირებულება და სამშობლოს კანონიერ ფარგლებად ვაღიაროთ ის საზღვრები, რომლითაც მოიხაზა მეფე ერეკლეს მიერ დამოუკიდებელ საქართველოს სამეფო, ვიდრე რუსეთის სკიპტრის ქვეშ შესდგავდა ფეხსა! ჩვენს ერს, როგორც ყოველს ორგანიულს არსებას, აქვს კანონიერი ზრდის უფლება, ისტორიამ მას მიანიჭა სარბიელი ამ ზრდის გასავითარებლად და არცკი გვესმის რა დანაშაულობას ვჩადიგართ, როდესაც ამ უფლებებს ვაბიჯებთ და მთელი ერის სახელით ვასაღებთ საკუთარს სიბეცის ნაკარნახებს!

ისტორიას წინ ნუ მივუხტით, ცოტა იმისიც მოვისმინოთ!

დეპეშა

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

თელავი. კახეთის კოოპერატივთა კავშირის გამგეობის წევრებად წვრილ კრედიტის საზოგადოებათა წარმომადგენლებმა აირჩიეს: კანდელაკი, ფორაქიშვილი და წინამძღვარიშვილი. თელავისა და თიანეთის წარმომადგენელთა უმრავლესობამ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა.

ახალი ამბავი

◆ მისი უმაღლესობა პრინცი პ. ა. ოლდენბურგისა 15 ამა თვეს, საღამოს, კავკასიის სამხედრო ასპარეზზე გაემგზავრა.

◆ ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს სკოლების ინსპექტორი ბ-ნი ვერხოვსკი სამსახურის გამო პეტროგრადს წავიდა.

◆ ლურჯ-ბილეთიანები. „უტრო როსიი“-ს ცნობით, გაიწვევენ ლურჯ-ბილეთიანებს (მეორე ხარისხის მოლაშქრეთ), 1909, 1908 და 1907 წლებისას.

ტრამვაის ჩაბარება. 14 და 15 ამა თვეს ქალაქის გამგეობამ ჩაიბარა ტრამვაის დირექციისაგან 80 ვაგონი. გუშინ გასინჯა და ჩაიბარა პარკი და ელექტრონის სადგური. გუშინვე ღამით გასინჯა და ჩაიბარა ქვაბები.

◆ ტყვია-პატრონის აღმოჩენა. თბილისის სადგურზე ჟანდარმებმა შეიპყრეს ჯულფის მატარებლით მოსული ამბარცუმ ჯანპირიანცი, რომელსაც 1,140 ცალი ტყვია პატრონა აღმოაჩნდა ტოპრაკში.

◆ წერა-კითხვის საზოგაოების გამგეობამ დაადგინა ეხლავე შეუდგეს ი. გოგებაშვილის „რუსკოე სლოვოს“ პირველი ნაწილის გამოცემას, რადგან ეს წიგნი თითქმის აღარ მოიპოვება საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. იმავე გამგეობამ გადასწყვიტა, საზოგადოების წევრთა რიცხვის გასამრავლებლად და ქონებრივ ღონისძიებათა გასადიდებლად, საკვიტანციო წიგნაკებში მოთავსებული იყოს 25 ფურცელი და ეს წიგნაკები დაურიგდეს, გამგეობის ამა თუ იმ წევრის თავდებობით, საზოგადოების ზოგიერთ წევრებს ახალ წევრების შესაძენად.

◆ კრება. დღეს, საღამოს 8 საათზე, კრება ექნება ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს. განსახილველია შემდეგი საგნები: 1) შაბიამანისა და გოგირდის შეკვეთა, 2) ინსტრუქტორ გ. ს. ნახუცრიშვილის მოხსენება, 3) იყალთოს მამულისათვის შენობის გეგმის დამტკიცება და სხ.

◆ ქართული წარმოგენა. დღეს, საღამოს, 17 ქრისტეშობისთვეს, ქართულ წარმოდგენების მმართველი წრე კ. შათირიშვილის რეჟისორობით, წარმოადგენს იუშკევიჩის პიესას—„ქალაქში“.

◆ შეწირულება. ფოთის საკრედიტო ამხანაგობისაგან მოუვიდა წ.-კითხვის საზოგადოების გამგეობას 40 მ. აკაკის ფონდის სასარგებლოდ და 40 მან. ქართულ თეატრის აღსადგენ ფონდის გასაძლიერებლიდ.

◆ უულაბების დათვლა. წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ დათვალა 9 ყულაბი და აღმოჩნდა შიგ წ.-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ შემოწირული 71 მან. 27 კაპ.

◆ სწრაფი დახმარება. თბილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა თბ. ქალაქის გამგეობას მიიღოს თავის გამგებლობის ქვეშ მსწრაფლ დამხმარე სადგური თავისის მოწყობილობით.

◆ 17 ქრისტეშობისთვეს ქ. ქუთაისში კნ. ეკ. ერისთავის საბენეფისოდ. წარმოდგენილი იქნება „დაძირული ზარი“. ამ პიესისათვის თბილისიდან მიწვეულია გ. იშხნელი.

◆ გარდაიცვალა თბილისში გულის სიგანვრით, ცნობილი თანამშრომელი „ნოვოე ვრემიასი“ „ზატერიანიის“ ფსევდონიმით გ. ა. პალმი.

◆ გუშინ, 15 ქრისტეშობისთვეს სახაზინო თეატრში ქართველ ქალთა ჭრა-კერვის სკოლის სასარგებლოდ დადგმული იქმნა შარლ გუნოს ცნობილი ოპერა: „რომეო და ჯულიეტა“. დიდძალი საზოგაღოება დაესწრო, მეტი წილი ქართველობა იყო. სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებდა პარტერში ლეჩაქიან ქალთა ყოფნა. ოპერამ მწყობრად ჩაიარა. რომეოს, ბ-ნ ზალაცკის მხურვალე ტაშით შეეგებენენ. საზოგადოება დიდის კმაყოფილებით დაიშალა.

◆ მუშების თხოვნა. ტრამვაის მუშებმა ბ-ნს პოლიცმეისტერს ნებართვა სთხოვეს კრებისა, ტრამვაის ძველ ადმინისტრაციასთან ანგარიშის გასწორების შესახებ მოსალაპარაკებლად. პოლიცმეისტერმა უარი განუცხადა, მაგრამ მუშებმა ხელმეორედ მიმართეს თხოვნით.

◆ ფქვილი. 1—15 ქრისტეშობისთვის განმავლობაში რკინის გზით შემოსულა თბილისში 418 ვაგონი ფქვილი, ე. ი. დღეში 28 ვაგონზე ცოტა ნაკლები. დღიურად თბილისისთვის საჭიროა 16 ვაგონამდე და ზედმეტი ფქვილი შენახული უნდა ყოფილიყო, მაგრამ შენახული ერთი ვაგონიც არ არის, რადგან ზედმეტ ფქვილს პროვინციებში გზავნიდა ქალაქის გამგეობა.

◆ სურსათი. 15 ქრისტეშობისთვეს რკინის გზით შემოვიდა თბილისში: ფქვილი 7 ვაგ., ხორბალი 16 ვაგ., ქერი 3 ვაგ., ღვინო 8 ვაგ., ქვა-ნახშირი 2 ვაგ., შეშა 18 ვაგ., ნავთი 2 ვაგ., ხილი 140 ფუთი, თევზი 140 ფუთი, კარაქი 103 ფუთი.

◆ ქუნთრუშა. ამ ჟამად ქალაქის საავადმყოფოში წევს 133 ქუნთრუშიანი ბავშვი.

◆ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარ გამგეობას მოუვიდა მისის უმაღლესობის ტატიანა ნიკოლოზის ასულის კომიტეტისაგან შემდეგი ხარჯების დასაფარავად მიმდინარე ქრისტეშობისთვეში: 1) 2,000 მან. ამბულატორიის შესანახად სოფ. ხულოში; 2) 8,000 მან. გადმოხვეწილთა ბავშვების 4 სკოლის შესანახად; 3) 1,000 მან. იმ გადმოხვეწილთა დასახმარებლად, რომელთაც თავი შეაფარეს მუშათა სკოლებს. ამასთანავე კომიტეტი სთხოვს გამგეობას, შეგვატყობინეთო, რომელ ბანკში გაქვთ ფულები შენახული მიმდინარე ანგარიშზე, რათა შემდეგში პირდაპირ იმ ბანკს გამოუგზავნოთ ყოველ თვიურად თქვენთვის ფულებიო.

◆ ქ. ტუაპსე. ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზ. აქაური განყოფილების გამგეობა, ამ მოკლე ხანში შეუდგება სამკითხველოსათვის საკუთარი შენობის აგებას. ამ მიზნისათვის ბ. სპ. ბედუქიძემ შემოსწირა 2,000 მან. და სხვა პირებმა 1,000-მდე.

სამკითხველოს მოსდის შემდეგი ჟურნალ-გაზეთები: „საქართველო“, „თან. აზრი“, „სახალხო ფურცელი“, „განათლება“, „თეატრი და ცხოვრება“, „ეშმაკის მათრახი“ და ორი რუსული გაზეთი.

◆ თბილისში ჩამოვიდა ბათომის საურთიერთო ბანკის თავმჯდომარე ბ-ნი ს. მდივანი.

◆ გენერალ-ლეიტენანტი ვ. დ. გაბაშვილი უმაღლესად დაჯილდოვებულ იქმნა 1 ხარისხის სტანისლავით და ხმალ-ბანტით.

◆ თბილისში ჩამოვიდა ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ-დი ნიჟარაძე.

◆ ქართული საქველმოქმედო საზოგადოება. საზოგადოების მთავარ-გამგეობის მინდობილობით, შაბათს, 19 ამა თვეს, თბილისიდან ბათომის ოლქში მიემგზავრებიან გამოცდილი მასწავლებლები: ერემია გულისაშვილი და არსენ წითლიძე, რომლებმაც უნდა მოაწესრიგონ სკოლების გახსნის საქმე ქობულეთსა, ქედასა, ხულოს და სათლელში (შავშეთი). ხსენებულ მასწავლებელთა მოგზაურობის შესახებ მთავარმა გამგეობამ უკვე მიიღო ნებართვა ბათომის ციხის უფროს გენერალ ლიახოვისაგან.

◆ სამოსელი მაჰმადიან ქართველებისთვის. გადმოხვეწილთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის დანიშნულმა მთავარმა რწმუნებულმა გენერალმა თამამშევმა დააკმაყოფილა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარ გამგეობის შუამდგომლობა, შესახებ იმისა, რომ ომიანობისაგან დაზარალებულ ქართველ მაჰმადიანთათვის სამოსლისა და ლოგინების შესაძენად მიეცა მისთვის 168,000 მანეთი. ამ ფულებს მთავარი გამგეობა ამ დღეებში მიიღებს და საზოგადოებასთან დაარსებული ქალთა კომიტეტი შეუდგება სამოსლებისა და ლოგინებისათვის მასალების შეძენას. ქალთა კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს რამდენიმე თავისი წევრი გაგზავნოს ბათომის ოლქის სოფლებში და იქ შეჰკერონ სამოსლები, ადგილობრივ მაჰმადიან ქალთა დახმარებით.

◆ სასურსათო საკითხი. ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარმა გამგეობამ სთხოვა თბილისის გუბერნატორს შუამდგომლობა, რომ დაენიშნათ საზოგადოებისათვის სურსათის გადმოსაზიდათ თბილისის გუბერნიაში 7 თვის განმავლობაში ყოველ თვიურად 300 ვაგონი. შუამდგომლობა შეწყნარებული იქმნა, მხოლოდ იმ განსხვავებით, საზოგადოებას დაენიშნა თვეში 200 ვაგონი, ე. ი. 7 თვის განმავლიბაში (ჭირნახულის ახალ მოსვლამდე) სულ 1,400 ვაგონი.

კახეთის წვრილ კრედიტის ამხანაგოგათა კავშირი

13 ქრისტეშობისთვეს კრებაზე ნათქვამი სიტყვები)

სიტყვა ალ. ახმეტელისა.

დიდებულია, ბ. ეს დღე ჩვენთვის. დიდებულია თავის ახალი სახით, თავის ახალი შემოქმედებითი სულით. ძლივს ჩვენგან გაჭრა, პირი იბრუნა იმ შავბედითმა დრომ, როდესაც ჩვენი სამშობლო, საქართველო, უკიდურეს განსაცდელამდის მივიყვანეთ. ერთ დროს კახეთი მედიდური, ჩვენ წინაპართა ყოველთვის მოწინავე, სამშობლოს მტერთა თავზარ დამცემი, შემდეგ კი მკვდარი, სულ განაბული კვლავ ისევ აღსდგა. უიარაღო კარგა ხნობით, მოქანცული, თავ მივიწყებული დღევანდელ დღეს ახალი იარაღით იმოსება. ქონებრივი სიძლიერე, ეკონომიური სიმტკიცე,—აი დედაბოძი იმ ეროვნულ მოძრაობისა, რომელიც ახლა ჩვენში უკვე სწრაფად ფეხს იკიდებს.

ჩვენ, ქართველები, უნდა ვიყვნეთ ჩვენი თავის პატრონნი. ჩვენ, და არა სხვა. ჩვენ უდა შევქმნათ ჩვენი ეროვნული ძლევა-მოსილობა.

კახეთმა დღეს თავის მოქმედებით ძველებურად ააფრიალა ერთ დროს კუთხეში მიგდებული ეროვნული დროშა და ვინ ამოუდგებოდა უპირველესად მათ გვერდით, თუ არა ის ახალგაზდა ქართველობა, რომელიც გაზეთ „საქართველოს“ გარშემო თავს იყრის.

დღეს თქვენთან ერთად ჩვენს დედაქალაქში სიხარულით ეგებებიან ამ ეროვნულ დღესასწაულს, სწორედ ესენი. მე როგორც საგანგებოდ გამოგზავნილი, სალამს გიძღვნით გაზეთ „საქართველოს“ მიერ და ულოცავ კახეთს ამ დღევანდელ დღეს, გისურვებთ, ბატონებო გაზ. „საქართველოს“ სახელით, დღეგრძელობას მრავალჟამიერ.

სიტყვა რ. გაბაშვილისა. ქართულ საქველ. საზოგ.

გილოცავთ ამ დიდებულ დღეს, როდესაც შეიკრიბნენ მთელი კახეთის ამხანაგობანი საერთო მუშაობისათვის. ქ. ს. საზ. საქართველოში ერთი იმ ორგანიზაციათაგანია, საცა სოლიდარულად მოქმედობენ ყველა პარტიული და არა პარტიული ჯგუფები და გისურვებთ რომ „კახეთის კავშირი“ იყოს მეორე ასეთი ორგანიზაცია. მაგრამ უფრო ძლიერი და მკვიდრი, რის იმედსაც გვაძლევს მისი ეკონომიური საფუძველი. გულწრფელად და სიამოვნებით მოგილოცავთ ამ კავშირის დაარსებას, გისურვებთ გამარჯვებას და საქმის იმ გვარად წაყვანას, რომ მომავალში **თქვენის ხელმძღვანელობით** შეერთებულ საქართველოში საჭირონი აღარ იყვნენ არც ქველმოქმედნი და არც საქველმოქმედო საზოგადოებანი.

ბ. ქარუმიძის სიტყვა.

მეხილეთა ამხანაგობა „ქართლი“ და ის საზოგადოებრივი მიმართულება რეალ მოქმედებისა ულოცავს კახეთს და მასთან მთელ საქართველოსაც მრავალ მნიშვნელოვან დღესასწაულს, ერის ცხოვრებაში, საკრედიტო დაწესებულებათა კავშირის დაარსებას.

ერი დაქსაქსული, ერის უფლება ახდილი, მაგრამ უფლების მაძიებელი საჭიროებს ისეთს ორგანიზაციას, სადაც ერი შეკავშირდება, შედუღდება, ერთ მთლიან ეროვნულ სხეულად, სადაც აღიზრდება ეროვნულ მოვალეობის გრძნობაში.

შეერთებას და აღორძინებას პოლიტიკურს, აუცილებლივ წინ უნდა უძღოდეს შეერთება და აღორძინობა ეკონომიური და პოლიტიკური.

თანამედროვე ჩვენი უკან ჩამორჩენილი მეურნეობა და ანარქიული წარმოება უნდა შეიცვალოს ინტენსიურ, მწყობრ სახელმწიფო ხასიათის მეურნეობით, რათა მკვიდრ საფუძვლად დაედოს იგი ერის კულტურულ-პოლიტიკურ ცხოვრებას.

ეს არის ხვედრი და თანაც აუცილებელი გზა, განვლილი ყველა იმ ერების მიერ, რომელთაც ჩვენისთანა უმწეო მდგომარეობიდან თავი დაუხწევიათ, მიუხწევიათ ისეთ დღისათვის, როდესაც ითქმის: „ჩვენი თავი ჩვენვე გვეკუთნისო“. ჩვენ კარგა ხანი ვადექით მაძიებლობის და რყევის ხანას. დიდი მსხვერპლიც შევწირეთ მას. განვიცადეთ ყოველ გვარი უკიდურესობა—ერის ცხოვრების საძირკველის—კერძო საკუთრების პრინციპის უარყოფიდან დაწყებული, ეროვნულ ზრახვაზე და თავმოყვარეობაზე ხელის აღებამდე.

დღევანდელი დღე სხვა შარავანდედით არის მოსილი.

იგი მომასწავებელია იმისა, რომ დადუღდა მაძიებლობის და რყევა შფოთვა დასცხრა, ერმა თავისი ენერგია სწორე კალაპოტში ჩაუშვა, იგი საღს გზას დაადგა.

საღია ეს გზა მიტომ, რომ იგი ემყარება მკვიდრ ეროვნულ საძირკველს, აღჭურვილია გონიერი და ძლიერი თანამედროვე ძალით — კოოპერაციის პრინციპით და მის გარშემო დარაზმულია ერი თავისი წოდებრივი შემადგენლობით.

კერძო საკუთრება, სურვილი მისი შენახვისა და ცდა მისი გაძლიერებისა სულ მუდამ ყოფილა აზრი ჩვენი ისტორიული ცხოვრებისა; იგი ედება საფუძველად დღევანდელ მოძრაობასაც და იჭედება თანამედროვე თანამშრომლობის უძლიერესი სახით—კოოპერაციის პრინციპით. იგო ჰბოჭავს და იკრებს თავის გარშემო მთელ ერს წოდების განსხვავებით, რადგან მთელი ერი ერთ ეკონომიურ- პოლიტიკურ ჩაგრულობის ტაფაში იწვის.

დღევანდელი მოძრაობა მაღლა სწევს ეროვნულს დროშას და მიაქანებს დღევანდელს წოდებრივს, უუფლებო საქართველოს—უფლებით მოსილ და მდიდარ საქართველოსაკენ, სადაც აღარც წოდებრივი განსხვავება უნდა იყოს.

თქვენ, კახელებო, „გხვდათ ბედნირება ამ ძლიერ მოძრაობით გადაგედგათ დიდი ნაბიჯი. საქართველო უკვე ფენილი საკოოპერაციო ამხანაგობებით, რომელთაც პროგრესის უძლიერესი სტიმული, სურვილი კერძო მესაკუთრეთა გაუმჯობესონ თავიანთი მეურნეობა—უდევს საფუძვლად—დღეს ერთდება თქვენის თაოსნობით, რათა უფრო მეტად იზრუნოთ ერის საკუთრებაზედაც, მის კეთილ-დღეობაზედ. გვჯერა და გვრწამს, რომ შორს არ არის დღე, როდესაც თქვენ მაგალითს ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებიც მიჰბაძავენ და საერთო სრულიად საქართველოს კავშირს შეჰკრავენ.

სასოებით და ღრმა რწმენით აღვსილნი და ამ ბედნიერ დღის მომლოდინე, გილოცავთ დღევანდელ ბრწყინვალე დღესასწაულს, ვუსურვებთ საქმეს—გამარჯვებას და კეთილად დაგვირგვინებას, მუშაკთ სიყვარულს, სიმტკიცეს, სიმხნევეს და ერთსულოვნობას.

ვისურვებთ საქმეს ის მოეტანოს ჩვენთვის რასაც ავალებს მას მომენტი, თქვენ კი—პირნათლად და ღირსეულად შეგესრულებინოდ ეს წმიდა საშვილიშვილო და საქვეყნო საქმე.

კახეთიდან მოსული ცნობა განცვიფრებას იწვევს ჩვენში. რწმუნებულები ჯგუფ-ჯგუფად დაყოფილან. საქმის მესვეურებს თავი დაუნებებიათ კრებისათვის. დანარჩენთ ამოურჩევიათ გამგეობა.

არსადა სჩანს ამ საქმის შემქმნელ ბ-ნ ლუკაშვილის სახელი, რომელიც როგორც ვიცოდით საერთო სასურველ კანდიდატად იყო დასახელებული, როგორც ბ-ნი კანდელაკიც.

დაწვრილებით ცნობებს დავუცადოთ.

სტუდენტების ჯარში გაწვევა

სამხედრო მინისტრს, გენერალ პოლივანოვს მინისტრთა საბჭოში სტუდენტების ჯარში გაწვევის გამო მოხსენება წარუდგენია, სადაც ამბობს: ამ ჟამად პრაპორჩიკების სკოლაში შედიან ისეთი პირნი, რომელთაც სწავლის ცენზი არა აქვთ. იქ იღებენ უნტერ-ოფიცრებს, გიორგის ჯვრით დაჯილდოვებულებს, ფოსტის და რკინის გზის დაბალ მოსამსახურეებს და სხვებს.

ჯარისთვის კი საჭიროა განათლებული ოფიცრები. სწორედ ეს გარემოება გვაიძულებს სტუდენტები ჯარში გავიწვიოთ და ოფიცრებად გამოვზარდოთ.

სამხედრო სამინისტრომ გადასწყვიტა გახსნას სტუდენტებისთვის სამხედრო სკოლები რომ რომელსამე უნივერსიტეტს უპირატასობა არ მივცეთ, ამიტომ ყველა უნივერსიტეტის მოწაფენი გაწვეულ უნდა იქმნეს, მათს რიცხვში ის სტუდენტებიც, რომელნიც სპეციალ საგნებს სწავლობენ და მიღებულ იქმნან სპეციალსავე სამხედრო სასწავლებელში, რადგან სპეციალი ოფიცრები დიდად საჭიროა არმიისთვის. გაწვეულ უნდა იქმნენ 19 წლიდან მოყოლებული. სამხედრო ბეგრიდან თავისუფალნი იქმნებიან ებრაელი სტუდენტები, რადგან ოფიციალ ჯარში ყოფნას ებრაელებს სახელმწიფო კანონი ნებას არ აძლევს.

მწარე სინამდვილე

ინგლისურ გაზეთის „Times“-ის წარმომადგენელმა „რუსკ. სლოვოში“ მოათავსა განმარტება, თუ რად და რისთვის ათავსებენ ხსენებულ გაზეთში ისეთ წერილებს, რომელნიც მწარე სინამდვილეს ააშკარავებენ, ეს კი ფრიად მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს მოკავშირეებზეო. აი, სხვათა შორის რასა სწერს იგი:

„...ჩვენ, რა თქმა უნდა, უფრო მხიარულნი ვიქნებოდით, თუ კი გვეცოდინებოდა, რომ ვალისში თითეული მუშა მართლა მთელი ძალ-ღონით მუშაობს, რომ კლაიდუს ვერფში მომუშავენი უბრალოდ დროს არა ჭკარგვენ და რომ პოლიტიკური მოღვაწენი დაივიწყებდნენ პარტიულს კინკლაობას, ერთი მიზნისთვის შეერთდებოდნენ, რათა ომის მსვლელობა თვისი რიგით წასულიყო. თუ ყველა ამ საკითხზე „ტაიმსი“ გულახდილად აღვიარებს ჭეშმარიტებას, ეს, რა თქმა უნდა, არა იმათ გულის გასახეთქად სჩადიან, რომელთაც სიყვარულის დაფარვა ჰსურთ, არამედ ხალხისთვის, ხალხმა უნდა ყოველისფერი იცოდეს. ისინი, ესე-იგი, სიმართლის მფარველნი გვეუბნებიან: „იარაღი საკმაოდ გვაქვს, ჩვენ არაფერი არ გვაკლიაო“. ჩვენც, როდესაც ვხედავდით, რომ ჩვენს ორს გასროლაზე მტერი 30—40 გვიპასუხებდა, ვცდილობდით დაგვერწმუნებია თავი, შესაძლებელია ამას სჩადიან განზრახ, ჩვენთვის მიუწდომელი ღრმა, სტრატეგიული მოსაზრებითაო. ასეთი ოპტიმიზმი მალე „ტაიმსმა“ გააქარწყლა, სამაგიეროდ სინამდვილის გამომჟღავნებამ მეტად აამოქმედა ჩვენი ძალები და იარაღი მეტი შეგვძინა. ასეა თუ ისე, ბრძოლის ველზე „ტაიმსის“ გამომჟღავნებული ამბები გაცილებით მეტს დადებით შთაბეჭდილებას ახდენდა მებრძოლებზე, ვიდრე მთელი რიგი გამარჯვების ამბები, რომელნიც მათდა გაუგებარის მიზეზის გამო საზოგადო უკან დახევით გვირგვინდებოდა.

ჩვენზე, რა თქმა უნდა, მეტად მძიმე შთაბეჭდილებას ახდენდა და გულს გვწყვეტდა გაფიცვები, ჯართა მოკრების აურზაური, ათასი უწესრიგობა, უხალისობა, მოთხოვნა ჯერ არ ნახული ხელფასისა, ძალთა არევა, აგრეთვე ზოგიერთ სახელმწიფო მოღვაწეთა ახდილი გერმანოფილური მოქმედება, არა ნაკლებ გვწყინდა ის გარემოება, რომ ინგლისში გერმანელი ჰასაკში მოსული ახალგაზდობა თავისუფლად დასეირნობდა, ხოლო ფართო საზოგადოება ინგლისელთა მაღალი წრისა ფუქსავატ ცხოვრებას ეწეოდა. მაგრამ ისე მძიმე და აუტანელი არა ყოფილა რა ჩვენთვის, როგორც პროფესიული ოპტიმიზმი. და ამ გრძნობას, ამ კაეშნით მოცულს მდგომარეობას განგვიმტკიცებდნენ სამშობლოში დაბრუნებული დაჭრილები. შეეძლება როდისმე ინგლისს რომ სინამდვილეს პირისპირ შეჰხედოს? ამბობდნენ, „ძირს სავალდებულო სამხედრო ბეგარაო“, **და ამავე დროს რისხვით და მუქარით** და ათასი შეურაცყოფით მიერეკებოდნენ ახალგაზდობას ბრძოლის ველზე გასასვლელად. და ამავე დროს კვლავ იგივე დამცინავი და დაჟინებითი მოთხოვნილება: „ძირს სავალდებულო სამასახური!“ აი ის მდგომარეობა, რაიც ასე რიგად გულს გვიწყლავდა ჩვენ, აგრეთვე ის აუწერელი ნდობა, რომელიც მზად იყო ყველასთვის თაიგულად გადაშლილიყო, ოღონდ საამო ამბავი კი გაეგონათ. დაე, ეს ყოფილიყო სიცრუე, ოღონდ ინგლისელი საზოგადოება კი გესიამოვნებინათ ამით. ოსმალნი ჰხოცავენ გერმანელ აფიცრებს; ბერძნები ჩვენს მხარეზე გადმოდიან; სტამბოლში ამბოხებაა; ოსმალნი ზავს ითხოვენ; ბულგარეთი ჩვენს დასახმარებლად გამოდის; გერმანელები შიმშილით მოიშთვნენ, ეხლა თითქმის ამოსწყდნენ კიდეც; აი, საცაა დარდანელს ავიღებთ, და თუ ვერ ავიღებთ, ეს არც ისე საგულისხმიეროა,—აი მთელი ინგლისის გონებრივი მდგომარეობა, რაიც შეიქმნა პროფესიული ოფტიმიზმით!.. მართალია, ყველა ეს გულს სწყვეტდა თვითეულს მამულიშვილს, ნამდვილ ინგლისელს, მაგრამ თქვენ ვერც ერთს მებრძოლს ვერ ნახავთ საფრანგეთის ველზე, რომელიც „თაიმს“ ამ მწარე სინამდვილის გამჟღავნებისათვის გულითად მადლობას არ უცხადებდეს!“

ახალი ჰიპნოზი

გერმანეთმა ომის პირველ დღიდანვე ჯადოსნობას მიჰმართა: დიდი ეფექტი, ქვეყნიერების განცვიფრება და ამ ჰიპნოზის დროს ახალი მზადება ახალის ეფექტის მოსახდენად. გრგვინვა-ქუხილით შეტევა მთელს ფრონტზე, მოწინააღმდეგეთა გაოგნება და ამავე დროს ერთი კუთხის ამომიზნება და მისი განადგურება. აი, უკანასკნელი სიტყვა გვითხრეს ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე შემოტევით. დასრულდა ოპერაცია, დასრულდა დიდის ეფექტით, განზრახულებამ სისრულეს მიაღწია, გზა გაკაფულია სტამბოლისკენ, სერბეთი მოისრისა, მთაშავეთიც აჰა, სულს ჰღაფავს, მხოლოდ პარტიზანულ ომს თუ-ღა ეწევა, ინგლის-ფრანგების ჯარები სალონიკისკენ მიიჭეჭყა, გალიპოლიდან მოკავშირეთა ჯარი მიდის და... ყველა ამის შემდეგ დუმილი, სამარისებური დუმილი! გერმანელთა ჰიპნოზით შეპყრობილი მეტოქენი იმას კი აღარ ჰფიქრობენ სად და როგორ შეუტიონ თავხედ მტერს, არამედ იმას, თუ საიდან მოგველის ახლა საფრთხე, რას ჰფიქრობს გერმანეთი, საითკენაა ამოწვდილი მისი მახვილიო! ყურ-განაბულნი ყოველ ხმაურობას ისმენენ, ყველაფერს ანგარიშს უწევენ. გერმანელთაც სწორედ ესა ჰსურთ. მათი დაქირავებული აგენტები ყალბ ცნობას ყალბ ცნობაზე აქვეყნებენ, თითქოს დაწვრილებით ცნობებს იძლევიან, ჯართა დიდი მოძრაობა ამა და ამ ადგილას მოხდა, აქეთ ეზიდებიან დიდძალ ზარბაზნებს, ჯარები იქით გადაჰრეკესო და სხვა. ერთხანად ბალკანეთის კრიზისის მიწურვის დროს ასტეხეს ხმაურობა გერმანელთა გრანდიოზული სამერმისო გეგმის შესახებ, ვითომც ეგვიპტე ამოიღეს ნიშანში, მაკენზენი ინიშნება მთავარსარდლად, აქედან სუეცი, შემდეგ აღმოსავლეთით გაჭრა, სპარსეთი, ინდოეთი... ამ ხმაურობას თითქოს რეალური ნიადაგიც მოუნახეს. მართლაც, აღმოსავლეთი აჩუჩუნდა, თითქმის სრულიად მოულოდნელად სპარსეთში მოძრაობა ასტყდა ინგლისელებისა და რუსების საწინააღმდეგოდ. იგივე მოძრაობა ორთაშუა მდინარის ღელეში (მესოპოტამიაში) ჯადოსნურ კვერთხის დარტყმით გადიტყორცნა და სერიოზული მარცხი მიაყენა ინგლისელებს.

ამ ხმაურობასთან ერთად საგულისხმიეროა თვით სალონიკის მდგომარეობაც, საგულისხმიეროა მით უმეტეს, რომ მასთან დაკავშირებულია საბერძნეთის მდგომარეობის საბოლოო გამორკვევა. ავსტრია-გერმანელები მის პირდაპირ შეჩერდნენ და აქეზებენ საბერძნეთს ხმა ამოიღოს, სალონიკი დაიცლევინოს მოკავშირეებს. მაგრამ რა გზას ადგია საბერძნეთი, რა იქნება, საით გადაჰხრის თავის სიმპატიის სასწორს, ეს ისევე გაუგებარია, როგორც იმავე თავში, როდესაც ბალკანეთზე ავსტრია-გერმანელებმა საზოგადო იერიშით შეუტიეს.

ასეა თუ ისე, შეჩერდნენ გერმანელები და ომის ასპარეზიდან მოტანილ

ამბებსაც მოაკლდათ საზოგადო ინტერესი. აღმოსავლეთის ახმაურება, დარდანელი, სალონიკი, სუეცი, ეგვიპტე, იქით სპარსეთი, მესოპოტამია... აი ის აღმოსავლეთის მომხიბვლელი ზღაპრები, რომლითაც გერმანელთა აგენტები გვაშინებენ. ამ ჰიპნოზის დროს კი რაღაცა საშინელი მზადდება. ვგრძნობთ, რომ ჰაერი გაჟღენთილია ახალის ავკაცობის სუნით! ჰიპნოზმა ჩაგვაბჟირა, ზღაპრებთან ერთად თითქოს ზავზედაც გვესაუბრებიან, თითქოს ინტიმიურ დამოკიდებულებაზე ჩაგვჩურჩულებენ, მაგრამ როდემდის? გერმანელები იმდენად სულელები არ არიან, რომ თავიანთ ბაზას მართლა საკუთარი დამცველი და ცოცხალი ძალა დააშორონ! არა, ისინი ისევ ევროპის გულში ახდენენ საიდუმლო გადაჯგუფებას, წინ ეკრანი გაგვიმართეს და ბუნდოვანი სურათების ჭვრეტით გვასეირებენ. მაშინ, როდესაც მის უკან ფაცა-ფუცში არიან და, შესაძლებელია, უკანასკნელ ნახტომისთვის ემზადებიან.

როგორ და რა გზით დავახწიოთ მტრის ჯადოსნობას, როგორ და რა გზით მოვიშოროთ მისი ჰიპნოზი,—აი ის საკითხი, რომელიც მჭიდროთ დაკავშირებულია ომის მსვლელობის გადამწყვეტ ბედთან. მტერმა პროექტორის სხივებით ხელ-ახლად აგვითანიათანა. საშინელების ჟრუანტელი ინსტიქტიურად უვლის ყველას.

დიოგენი.

ქართულ სამეურნეო საზოგადოების წლიური კრება

(დასასრული)

ა. ორჯონიკიძე ეთანხმება ციციშვილს, რომ საზოგადოებაში პასიობაა გამეფებული. გუთნის ტიპიც კი ვერ აურჩია დღემდე ქართლში აგრონომმა და მცხოვრებთა შორის ის ახირებული აზრი, რომ მარტო ქართული გუთნის მეტი არ ვარგა, უფრო ვრცელდებაო.

თ-დი დ. ე. ჩოლაყაშვილი უპასუხებს, რომ სიღნაღის მაზრაში არც ერთ ძველებურ გუთანს აღარ ხმარობენო.

თ-დი ვ. დ. მაჩაბელი აცხადებს სურვილს, რომ საზოგადოებამ გაამრავლოს დამრიგებელნი მეურნეობის სხვა და სხვა დარგისა. მაგალითად მოჰყავს ბუდე ხეხილისა—ცხინვალის ხეობა, სადაც არც ერთი დამრიგებელი არ მისულა და მცხოვრებნი ბრმად მისდევენ ამ მეურნეობის დარგსაო. ფინლიანდიაში კი იმ ღარიბ ჭაობიან ადგილებში რამდენიმე საზოგადოება არის მოწყობილი და გზის მაჩვენებლად პროფესორები გადიან სოფლადო. ჩვენ საზოგადოებას კი არ მიუქცევია ყურადღებაო.

თ-დი დ. ვ. ვაჩნაძე. ის საყვედურები, რომელიც აქ გაისმა სრული სამართლიანია, სადაც მოქმედება დიდია—საყვედურიც დიდია, მაგრამ ავიწყდებათ ერთი რამ, თუ რა პირობებში დაარსდა ჩვენი საზოგადოება, როცა არც გზები იყო, სოფელიც კარჩაკეტილი და ცხოვრებაც მოდუნებული. საზოგადოების პატარა ბიუჯეტს დაეკისრა დიდი საქმე. რუსეთში ესეთ საზოგადოებებს ზურგს უმაგრებს დიდი ერობა და ამის გამო ის საყვედურები, რომელიც აქ გაისმის უსამართლოდ მიმაჩნია. მეც შემიძლიან საყვედურით მივმართო როცა პირველ კრებაზე 12 კაცი შევიყარენით მხოლოდ და ერთმანეთი ამოვირჩიეთო. კაცის პიროვნებაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. გაიქცნენ ისინი, რომელნიც მოყვარულნი არ იყვნენ ჩვენი საქმისა, მაგრამ ეხლაც გვყავს ისეთი პირებიც, რომელთაც რაც უნდა ბევრი მისცენ არ გაიქცეგიან. სამი წლის ვადა დიდი არაა, რომ გაკეთებულიყო რამ, მაგრამ როცა იყალთოში ვიყავ და იქაური მამული დავათვალიერე მე დავრწმუნდი, რომ ჩვენ საზოგადოებას საქმის გაკეთება შეუძლიან თუ ხალხი გვეყოლება. იყალთოს მამული კარების შეღებაა საიმედო გზისაკენ. ამიტომ ციციშვილის საყვედური არ მესმის. რაც შეეხება, იმას რომ ქართლში მოწყობილი არ გვქონდა საქმე ეს იმ პერსონალის ბრალია, რომელიც გაქცეულა. იმათ ხელში იყო ფული და საქმეც შეეძლოთ გაეკეთებინათ. ეს მარცხიც იმიტომ მოგვივიდაო. მაგრამ მიუხედავათ ამისა დღეს იქ სოფელი დიდის ნდობით გვეკიდება. ეს კედელი გავარღვიეთ და თამამად შეგვიძლიან გითხრათ მოგვეცით მხოლოდ აგრონომები. რაც შეეხება ბუნგალტერიის უსისტემობას აქაც მარცხი მოგვივიდა, მაგრამ ამ ნაკლსაც ბოლო მოეღება და დამნაშავე სასჯელსაც მიიღებს.

მღ. ვ. კარბელაშვილი არ ეთანხმება იმ აზრს, რომ ვითომ ხალხი არა გვყავდეს. რისგან მოხდა, რომ ჩვენი ხალხი შეწყნარებულია რუსებისა და სომხებისაგან და ჩვენგან კი არაო. მაგალითად მოჰყავს ვიღაც გამხარაშვილი, რომელიც საზოგადოებას ვითომცდა არ მიეღოს სამსახურში. თვის შვილ ელიზბარ კარბელაშვილის საქციელს საზოგადოების მსჯავრს ანდობს, ხოლო თვითონ აცხადებს: მედავითნეს, მე რომ დამინიშნონ უფროსად, არ დავიყენებო.

კამათის დასრულების შემდეგ კრება ამტკიცებს 1913-ისა და 1914 წლების ანგარიშს და 1915 წლის ხარჯთ აღრიცხვას.

კრების გაგრძელება გადაიდო კვირას 20 ამა ქრისტიშობისთვეს, ახალ არჩევნების მოსახდენათ.

ქალაქის საბჭო

კრება გადადის მორიგ საკითხზე. განსახილველ საქმეთა სიის პირველი 3 მუხლი ეხება **ტრამვაის** შეძენას. **ხმ. ევანგულოვი** თხოულობს, რომ ეს საკითხები განხილულ იქმნას გარეშეების დაუსწრებლად, რათა გაზეთებში არ დაიბეჭდოს ნალაპარაკევი. **თავმჯდომარეს** საჭიროდ არ მიაჩნია ევანგულოვის წინადადების შესრულება, რადგან საქმე არავითარ საიდუმლოებას არ შეიცავს. ხოლო თუ აღმოჩნდა რაიმე ისეთი საკითხი, რომლის განხილვა საიდუმლოდ უნდა მოხდეს, ცალკე კრებას დავნიშნავთ, გაზეთების თანამშრომლების დაუსწრებლად.

კრება შეუდგა მორიგ საქმეებს.

გამგეობის წევრმა **ბ-ნმა ათაბეგოვმა** მოახსენა კრებას, თუ როგორ დასრულდა სასამართლოში საქმე, ქალაქის თვითმართველობასა და ბელგიის უსახელო საზოგადოების შორის.

ხატისოვმა დაწვრილებით უამბო საბჭოს, როგორ იბარებს ქალაქი ტრამვაის ლიანდაგსა და უძრავ-მოძრავ ქონებას. ერთი წუთის მოცლა არა გვაქვსო, განაცხადა ბ-ნმა ხატისოვმა, არღუთინსკი და ჯაბარი ავად არიან; დავრჩით სამი კაცი (ხატისოვი, ჟურული და ათაბეგოვი) და ჩვენ აქაც, გამგეობაში, უნდა ვაკეთოთ საქმე და ტრამვაისაც ვიბარებთო.

ხმ. სულხანოვი. უმჯობესი იქნება ავირჩიოთ 3 ხმოსანი, რომლებიც გამგეობის ერთ წევრთან ერთად ჩაიბარებენ ტრამვაის ქონებას. **თავმჯდომარე** ეხება-რა ქალაქის რთულ საქმეებს, ამტკიცებს, რომ 5 წევრი გამგეობისათვის ძნელია გაუძღვეს ამოდენა საქმეებს, საჭიროა კიდევ ერთი წევრი, მაგრამ ამის შესახებ თვით საბჭომ უნდა აღძრას საკითხიო.

ხმ. სულხანოვი. ისევ იმეორებს თავისს წინადადებას შესახებ იმისა, რომ ტრამვაი ჩაიბაროონ სამმა ხმოსანმა და გამგეობის ერთმა წევრმა. **თავმჯდომარე,** ეს შეუძლებელია. ტრამვაი უნდა ჩაიბაროს გამგეობამ, როგორც აღმასრულებელმა ორგანომ.

გამგეობის წევრმა **გ. ჟურულმა** კრებას მოახსენა, რომ საჭიროა 450 ათასი მანეთი ბელგიის უსახელო საზოგადოებიდან ტრამვაის ლიანდაგისა და ქონების გამოსახსნელად. 1911 და 1912 წლებში ქალაქს უკვე ჰქონია მიცემული ნებართვა 800 ათას მანეთის სესხად აღებისა, სხვა და სხვა საჭიროებისათვის. ამ სესხიდან ქალაქს გაუნაღდებია მხოლოდ 200 ათასი მანეთი. მაშასადამე დანარჩენი სესხის აღების პირობები უნდა შეიცვალოს და ფულის დანიშნულება, სხვა არაფერი არ არის საჭირო.

საბჭომ ერთხმად შეიწყნარა გამგეობის წინადადება.

თავმჯდომარე. შაშკოვსკისაგან ქალაქი მომივიდა შესახებ იმისა, რომ შესდგეს სასურსათო თათბირი. რომლის თავმჯდომარედ ვიქნები მე, როგორც ქალაქის მოურავი, ხოლო წევრებად იქნებიან საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარე, ვაჭართა საზოგადოების თავმჯდომარე, ერობათა კავშირის წარმომადგენელი, ქალაქის გამგეობის ერთი წევრი და საბჭოს მხრივ 3 ხმოსანი. ასეთი თათბირების დაარსების უფლება მიეცა, როგორც ვიცით, მხოლოდ თბილისს, ბაქოს და ეკატერინოდარს. ეს დაწესებულება სრულის უფლებებით იქნება აღჭურვილი, გამოარკვიოს რაოდენობა საჭირო სურსათისა და მიიღოს ყოველივე ღონისძიება სურსათის მოსატანად. ამ დაწესებულებას შეუძლიან ყველგან გაჩხრიკოს სასურსათო საწყობები და ნამდვილი რეგისტრაცია მოახდინოს, პირველ საჭიროებათა საგნებისა, გააწესოს ფასები და სხ. დაწესებულება ერთ კვირაში შეუდგება პრაქტიკულ მუშაობას. გთხოვთ დაასახელოთ კანდიდატები, რომლებიც გსურთ წევრებად იყვნენ თათბირში.

საბჭომ დაასახელა ბ-ნნი კეილი, სულხანოვი, მარტიროსიანცი, სოსინი და ტერტეროვი.

არჩეულ იქმნენ უკანასკნელი სამნი.

შემდეგ კრებას მოხსენდა 9 ხმოსნის განცხადება შესახებ იმისა, რომ ორთაჭალის ბაღებში მტკვარზე ვიწრო ხიდი გაკეთდესო. გამგეობის მიერ შეკრებილ ცნობებით, ხიდის გაკეთებას მოუნდება 17,500 მანეთი, რომელთაგან 2,500 მანეთს მებაღეები კისრულობენ.

საბჭომ დაადგინა ეს საკითხი გადაეცეს ტეხნიკურ კომისიას, მაგრამ იმ პირობით, რომ ხიდის გასაკეთებელი ხარჯთაღრიცხვა 25,000 მანეთს არ აღემატებოდეს და ამ თანხიდან ერთი მესამედის გადახდა იკისრონ ორთაჭალის მებაღეებმა.

კრება შეუდგა ნიხრის დაწესების საკითხს, პურსა და ხორცზე. სამეურნეო კომისიის აზრით ფასი უნდა მომატებოდა პურსაც და ხორცსაც. ხმოსნებში ცხარე და გაჭიანურებული კამათი გამოიწვია ამ საკითხმა.

ბოლოს კრებამ დააწესა პირველ ხარისხის 1 გირვანქა პურზე $6^1/_2$ კაპ., მეორე ხარისხისაზე 6 კაპ.; თორნის პურზე 7 კაპ. და $6^1/_2$ კაპ.; მესამე ხარისხის სულ არ გამოცხვება. ხორცი პირველი ხარისხისა გირვანქა 22 კაპ., მეორესი 18 კაპ. და მესამესი 12 კაპ. ცხვრის ხორცი 20 კაპ., ღორისა 20 კ. და კამეჩისა 13 კაპ.

პროვინციის ქრონიკა

ქუთაისი.

მთავრობამ სვანეთის ბოქაულად დანიშნა თ. მ. დადეშქელიანი.

— 49 აჭარელთა პროცესში დასჯილთ უმაღლესი ბრძანებით სასჯელი ზოგს შეეცვალა და ზოგს შეუმსუბუქდა.

— დეპ. **ჩხენკელს** მომავალ უქმეებზე ქუთაისში მოელიან.

— ბელეტრისტს მალაქიაშვილს, რომელიც ამ ჟამად ავადმყოფია და ქუთაისის ციხეში იმყოფება, ეტაფით ქ. ასტრახანს გზავნიან.

— ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო თავად-აზნაურობას 20 ქრისტეშობისთვეს თავის კრება მოიწვიოს.

სოფ. სიონი (კახეთი).

ამას წინად მამასახლისის გზირს, რომელსაც 170 მან. ფული ჰქონდა შეგროვილი, თავს დაესხა ამავე სოფლის მცხოვრები, დასჭრა იგი და ფული წაართვა.

ს. იკბილოს ჭალა (თუშეთი).

მწყემსებს, ფუნგულაურს და ალი ქორსამულებს, ჩხუბი მოუვიდათ, რომლის დროსაც მოკლულ იქმნა აჩ. გადამულარი.

ბუსნის ჭალა.

თომა ჩოხელაშვილის ქერის ზვინში უცნობ ხევსურის გვამი აღმოაჩინეს.

სოფ. ჯარეგი.

შაქარა მუხაური და გოგია ხეთაური თავს დაესხნენ მახლობელ სოფელში, ღვთისო ანატრელს, შეჰკრეს მისი ცოლი, მოსტაცეს ხარ-ძროხა, სპილენძის ქვაბი, 50 მან. ფულად და მიიმალნენ.

ჭრებალო (რაჭა).

აქ არსდება საქონლის ჯიშის გასაუმჯობესებლად საგანგებო პუნქტი.

სოფ. დერჩი (ლეჩხუმი).

წარსულ კვირას ამ სოფლის მცხოვრებს გ. ასათიანს დაუწვეს სასიმინდე. ზარალი 300 მანეთს აღემატება.

ზესტაფონი.

დ. ზესტაფონში გაძარცვეს აფთიაქი, საიდანაც წაღებულია 300 მანეთ. ღირებული სხვა და სხვა საქონელი. ბოროტმოქმედებაში ეჭვი აქვთ თვით აფთიაქის მომუშავეებზე.

ქვედა ქვიტირი (იმერეთი).

მეწვრილმანე ებრაელს ღამით გზაზე უცნობი დახვდა და 70 მან. ფული წაართვა.

სოფ. ხორში.

აქაურ გლეხს ღამით ესტუმრა ერთი მგზავრის თანახლებით ადგილობრივი მამასახლისი. გლეხი სტუმარ მოყვარულობით მიეგება მოსულთ, როცა სტუმრები წავიდნენ, აღმოჩნდა, რომ მამასახლისის თანამგზავრი ყოფილა ცნობილი და გავარდნილი ყაჩაღი გვასალია. 7 ამ თვეს ხორში დარაჯებმა სოფელში საერთო ჩხრეკა მოახდინეს ყაჩაღების შესაპყრობად, მაგრამ ყაჩაღთაგანი ვერვინ ჩაიგდეს ხელში.

სომეხთა ცხოვრება

— ლორდმა ბრაისმა კონიაში და ალეპოში გადასახლებულ სომეხთა შესახებ ინგლისურ გაზეთებში წერილი მოათავსა.

— დაშნაკცაკანთა პარტიაში მონაწილეობისთვის დასჯილ მელიქ-ალახვერდიანს სასჯელი უმაღლესად ეპატივა და ძველ საცხოვრებელ ადგილზე დააბრუნეს.

— ტერ გრიგორიანცმა სომხური რომანი (პაპაზიანცისა) „ალემგირი“ პიესად გადააკეთა.

სმირნის მოვაჭრე სომხებს ქონება ჩამოერთვა.

— გამოქცეულთა მდგომარეობა თან და თან უმჯობესდება, შემოწირულება ყოველ ადგილიდან უხვად მოდის.

მაჰმადიანთა ცხოვრება

თურქესტანის მახლობელმა მაჰმადიანებმა 1300 მანეთი შეაგროვეს ომიანობისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.

— ამ მოკლე ხანში მოსკოვში მოათავებენ ასა-დულაევის სახელობის მუსულმანთა სკოლას.

— ბაქოს გუბერნიაში მაჰმადიანთა გლეხებზე თავდასხმა გახშირდა.

— ლენქორანის მაზრაში მუსულმან გლეხებს ყაჩაღები თითქმის ყოველ დღე ესხმიან თავს.

— გენერალმა თამამშევმა ბაქოს მუსულმანთა საქველმოქმედო საზოგადოებას რკინის გზაზე ერთი ვაგონის დათმობა აცნობა სურმალინის და ეჩმიაძინის მუსულმან გამოქცეულთათვის საკვების მისაწოდებლად. 14 ქრისტეშობისთვეს საქველმოქმედო საზოგადოებამ უკვე დატვირთა სტავროპოლში შეძენილი ფქვილი ვაგონი და სურმალინისკენ გაჰგზავნა.

— განჯის მ. ს. ს. მეთაურობით ულარიბეს მუსულმან მცხოვრებთა დასახმარებლად შემოწირულებით და სხვა და სხვა გზით მოგროვდა 60,000 მანეთი.

სხვა და სხვა ამბები

13 ქრისტეშობისთვეს ბაქოს რკინის გზის სადგურზე მოვიდა ამიერ-კავკასიის რკინის გზათა უფროსი გენერალ-მაიორი ვასილევსკი. მან დაათვალიერა სასანიტარო პუნქტები და გაეცნო რკინის გზაზე არსებულ წესრიგს.

— 13 ქრისტეშობისთვეს სასანიტარო მატარებელმა ბაქოში 208 დაჭრილი და დაავადებული ჯარისკაცი მიიყვანა.

— ბაქოში შესდგა მსახიობთა და ჟურნალისტთა თათბირი, რომელზედაც დაადგინეს მოაწყონ „მსახიობ-ჟურნალისტთა საღამო“ ომიანობისგან დაზარალებულ სხვა და სხვა ეროვნების მცხოვრებთა დასახმარებლად.

— კიევში ერთ ვაჭარს 700 ფუთი ნამალევი შაქარი აღმოუჩინეს.

— ამიერ-კავკასიის ყოველ სადგურზე, უფროსთან მუდამ დღე მოდიან მგზავრები და სჩივიან, რომ მათ ბილეთი ნაყიდი აქვთ, მაგრამ მატარებელში ადგილი ვერ იშოვეს და იძულებულნი არიან შემდეგი დღისთვის ელოდონ მატარებელს.

რუსეთი

მეტად გამწვავდა და შეიბორკა ბეჭდვითი საქმე. ამის გამო ჯერ კიდევ შინაგან საქმეთა მინისტრის შჩერბატოვის დროს იყო საკითხი აღძრული. მისმა მოადგილე ხვოსტოვმა უფრო მეტი ყურადღება მიაქცია. ხვოსტოვის აზრით, პრესას თავისი ბაირაღი ღირსეულად უნდა ეჭიროს, რადგან პრესას საზოგადოების წინაშე დიდი სამსახური შეუძლიან გაუწიოს. თვით ამ მინისტრს კარგად ესმის, თუ დღეს რუსეთში პრესა რაოდენად შეეიწროვებულია. ცენზურამ არ დაინდო თვით მინისტრის სიტყვა და წითელი ფანქარი გაუსვა. დიდის ცდით და მინისტრთა საბჭოს ჩარევით ძლივს შესძლო თავისი სიტყვა გაეშვებინა. ხვოსტოვმა ერთხელ კიდევ მიიწვია პრესის წარმომადგენელნი და თათბირის დროს ის გამოარკვია, რომ პრესასა და მთავრობის შორის კავშირი უნდა იყოს.

—

ერთ-ერთ გაზეთის თანამშრომელს ვინმე გარეშე მკითხველი შემდეგ წერილს სწერს: თქვენ გაიძახით, ყველაფერი ომს უნდა შევწიროთ, მაგრამ ამ ძახილისა ნაკლები გესმით და ხშირად არა თუ თანაგრძნობას, სიცილს იწვევს“. აბა მომისმინეთ! როცა გაზეთს ჰკითხულობ, ასე გგონია თითქოს რუსეთში ყველაფერი თავის წესით მიმდინარეობდეს!—მხოლოდ ფასებმა აიწია, მაგრამ რა ვუყოთ, ომიანობაა! და თქვენ გგონიათ, რომ ყველაფერი კარგა მიმდინარეობდეს და ყველაფრის მიზეზი ომი იყოს! ხალხის აღფრთოვანება ჩაკლულია და ვისის მეოხებით? რა არის, რომ ასე ხელოვნურად აძვირებენ ყველაფერს? თქვენ როგორც გინდა კარგად მოგვაჩვენეთ ჩვენი მდგომარეობა, გეტყვით, რომ ფარისევლობთ. თქვენ სცდილობთ თქვენი თავიც და სხვაც დაარწმუნოთ, სამშობლოს ხსნა მხოლოდ იარაღით შეიძლება, მაგრამ გავიწყდებათ, რომ ხალხის სული შეჭმულია დაძაბუნებულ ზნეობის ატმოსფერის და სახელმწიფოებრივ წყობილების ჟანგით. თქვენ არ გინდათ დაინახოთ მცარცველებით ავსილა მთელი რუსეთი, როგორც შინ ისე ომის ასპარეზზე და თქვენი ძახილი „ყველაფერი ომისთვის“ მათ გამოიყენეს „ყველაფერი გაკვრა-გაგლეჯისთვის!“

ნარევი

როგორ ინათებენ გზას ჰაეროპლანები ღამით.

რადგანაც ამ ომის დროს ღამით ფრენას და დაზვერას არა ერთხელ მიმართეს მეომარ სახელმწიფოებმა, საჭირო იყო გამოენახათ ისეთი საშუალება, რომლის შემწეობით ჰაეროპლანს შეეძლებოდა ღამით გზის განათება. ყველაზე უფრო ხელსაყრელი და გამოსადეგი არის მნათობი ნაღმი პარაშუტით. ავსტრია-გერმანელების ასეთი მნათობის აღწერილობა მოთავსებულია „Bechnigue Aèronautigue“-ში საიდანაც ჩვენ ამოვიღებთ რამდენიმე სტრიქონს. მნათობი ნაღმი შესდგება მნათი ნივთიერებისაგან, რომელიც თავისთავად საწვავ მასალას წარმოადგენს. მისი კანი წარმოადგენს ცინკის გილზს, რომელიც ლითონის ფირფიტით შეერთებულია პარაშუტთან. გილზს მობმული აქვს თოკი და ამ თოკის თავისუფალი ბოლო მობმულია მნათობ მანქანაზე. როდესაც თოკს მოსწევენ, ერთგვარი ხეხვა ხდება ნაპერწკლით საწვავი მანქანა ენთება. როდესაც ამ მანქანით არ სარგებლობენ, ის ყუთშია მოთავსებული და ჰაეროპლანის ქვემოთ ეკიდება. ბაირი იღება ზევიდან ბალიანურ ბაირაღივით. ბაირაღს აქვს თოკი, რომლის ბოლო მფრინავის სკამს აქვს მობმული. როდესაც ყუთის პირი იღება, ნაღმი საკუთარ სიმძიმის გამო ვარდება ყუთიდან. პარაშუტი იღება, თოკი გაიჭიმვის და შემდეგ წყდება, რის გამოც საწვავი სხეული ენთება. ამ მნათობ ნაღმების გამოცდა მოახდინეს ავსტრიაში.

ხუთასი აღლის სიმაღლიდან ჩამოგდებული ნაღმი ძირს ეშვებოდა ძალიან ნელა. ის ანათებდა სივრცეს რადიუსით 2 ვერსის 3-მ ნახევარ-4 წუთის განმავლობაში და შემდეგ მიწიდან ასი აღლის სიმაღლეზე ჰქრებოდა. ავიატორი ამ დროს განმავლობაში უხილავი —შეუმჩნეველი რჩებოდა. ასეთმა შედეგმა დიდი სამსახური გაუწია სამხედრო ავიატორებს, რადგანაც ამ მნათობი ნაღმების საშუალებით შესაძლებელი გახდა ღამით როგორც დაზვერის მოხდენა, ისე მიწის ზედაპირის უსწორმასწორობის გაგება უფრო კარგად, ვიდრე დღისით.

რედაქტორ-გამომცემელი

სანდრო შანშიაშვილი

სად გაიგებთ ცნობებს მოკლულთა, უგზო-უკვლოთ დაკარგულთა, დაჭრილთა და დატყვევებულ ჯარისკაცთა შესახებ.

1. მოკლულთა და უგზო-უკვლოთ დაკარგულთა შესახებ უნდა მიმართოთ შემდეგი ადრესით: Петроградъ, Караванная ул., д. № 1, особое дѣлопроизводство Главнаго Штаба.

2. დაჭრილთა შესახებ ცნობების მისაღებად საჭიროა მიმართოთ: Петроград, Басковская ул., д. № 12. Справочный отдѣл при Главномъ Управленіи Россійскаго Красного Креста.

3. ტყვეთ წაყვანილთა შესახებ უნდა მიმართოთ: Петроградъ, Инженерная, д. № 9, Центральное справочное бюро о военноплѣнныхъ при Главномъ Управленіи Россійскаго Краснаго Креста.

ცნობების მისაღებათ აუცილებლათ საჭიროა გარკვევით აჩვენოთ სახელი, მამის სახელი, გვარი და აღნიშნოთ ჯარის ის ნაწილი (კორპუსი, პოლკი და როტა), სადაც ჯარისკაცი მსახურობდა.

წერილში უნდა აღინიშნოს აგრეთვე სწორი ადრესი შემკითხველისა (სახელი, მამის სახელი, გვარი და გუბერნია, მაზრა და სოფელი, სადაც თვით ცხოვრობს).

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისში მოდის:

№ 3 ბაქოდან.	12 ს. 54 წ.	დღ.
№ 4 ბათომიდან.	5 ს. 55 წ.	საღ
№ 5 ბაქოდან(სწრ.).	7 ს. 41 წ.	საღ.
№ 10 ბათომიდან.	9 ს. 51 წ.	დილ.
ჯულფიდან	6 ს. 53 წ.	დილ.
ბორჯომიდან	7 ს. 25 წ.	დილ.
„ საად.	10 ს. 28 წ.	საღ.

თბილისიდან გადის:

№ 3 ბათომისკენ	1 ს. 45 წ.	დღ.
№ 4 ბაქოსკენ .	7 ს. 3 წ.	საღ.
№ 6 ბაქოს(სწრ.)	12 ს. 8 წ.	დღ.
№ 9 ბათომისკენ.	8 ს. 53 წ.	საღ.
ჯულფისკენ	10 ს. 23 წ.	ხაღ.
ბორჯომისკენ	3 ს. 29 წ.	დღ.

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.

თბილისიდან გადის:

თელავისა ტ. წნორისკენ დილ.	8 ს. 58
გურჯაანში მიდის ნაშუადღ.	3 ს. 53 წ.
გურჯაანიდან გადის თელავისკენ ნაშუადღევის	4 ს. 53 წ.
თელავში მიდის ნაშუადღევ.	5 ს. 35 წ.
გურჯაანიდან წნორზე მიდის	4 ს. 18 წ.
წნორზე მიდის	5 ს. 15 წ.

თელავიდან ყოველ დღე გამოდის თბილისისკენ:

დილის	8 ს. 58 წ.
გურჯაანში მოდის . . .	10 ს. 26 წ.
წნორიდან თბილისისკენ გამოდის დილის. .	10 ს. 16 წ.
გურჯაანში მიდის . . .	10 ს. 16 წ.
გურჯაანიდან თბილისისკენ გამოდის დილის	10 ს. 46 წ.

თბილისში ჩამოდის 5 საათზე.

წიგნის მაღაზია

„ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).

ი. დ. კიკნაძისა.

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

თევზის მრეწველნი

ძმ. ალეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

განუყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, საბრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა,** მცირე მარილიანი, შავი „„მეშჩნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა ლოქო, გვაქვს აგრედვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

წარადგენილია სამხედრო ცენზორისაგან

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი 4. №